საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რაგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

პარასკევი, 31 იანვარი. 2020 წ. №18 (8944) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

კიდევ ერთი მონაჭორი ოკეანის გაღმიდან

სენატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე, რესპუბლიკელი სენატორი ჯიმ რიში და ევროპის ქვეკომიტეტის უმცირესობის დემოკრატი ლიდერი, სენატორი ჯინ შაჰინი საქართველოს მთავრობას წერილით მიმართავენ. ეს სენატის საგარეო კომიტეტის მიერ საქართველოს მთავრობისთვის გაგზავნილი პირველი წერილია.

წერილში კომიტეტის წევრები შეშფოთებას გამოთქვამენ საარჩევნო რეფორმის დაპირების უკან წაღების, ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმეების გახსნის და პროტესტის ჩახშობის თაობაზე. სენატორები საქართველოს მთავრობას მოუწოდებენ დემოკრატიული პრინციპები დაიცვან და აფრთხილებენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლებელია ამერიკა-საქართველოს მეგობრობა გადაიხედოს.

„ამერიკის ხმა“ გთავაზობთ წერილის სრულ ტექსტს, რომელიც სენატის საგარეო კომიტეტისგან მოიპოვა.



ჯიმ რიში

ჯინ შაჰინი

„ბატონო პრემიერ-მინისტრო გიორგი გახარია,

გწერთ, რომ გამოვხატოთ საქართველოში უკანასკნელ დროს განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით ჩვენი ღრმა შეშფოთება. უკანასკნელი 29 წლის განმავლობაში, რაც საქართველომ საბჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობა მოიპოვა, ჩვენ ვიხილეთ დემოკრატიის დამკვიდრება, ეკონომიკური ზრდა, სამოქალაქო საზოგადოების აყვავება და მმართველობის მკვეთრი გაუმჯობესება. საქართველოს ერთგულება ძალაუფლების მშვიდობიანად გადაცემისა და კონსენსუსზე დაფუძნებული პოლიტიკისადმი, თქვენი რეგიონისთვის შთამბეჭდავი მაგალითია. ორივე ჩვენგანი 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე დამკვირვებლები ვიყავით და საქართველოს მიერ დემოკრატიის ამ მთავარი ფასეულობების დაცვამ ჩვენზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. უკვე ათწლეულებია, რაც საქართველოს განვითარების გზაზე შეერთებული შტატები მისი მხურვალე მხარდამჭერია.

თუმცა, ჩვენ უფრო და უფრო შეშფოთებულნი ვართ უკანასკნელი მოვლენებით, რომლებიც ქართული დემოკრატიის და მმართველობის შესუსტებაზე მიუთითებს. ორი მთავარი საკითხი არის პარლამენტის მიერ საარჩევნო რეფორმის დაპირების ჩაგდება და მთავრობის მიერ მშვიდობიანი საპროტესტო გამოსვლების ძალადობრივი ჩახშობა. ვიცით, რომ დაპირებული საარჩევნო რეფორმა ითვალისწინებდა ქართველი ამომრჩევლისთვის პროპორციული წარმომადგენლების მიცემას, იმის უზრუნველსაყოფად, რომ სისტემას რომელიმე ერთი პოლიტიკური პარტიისთვის არ მიეცა გაუმართლებელი უპირატესობა. თქვენი მთავრობის გადაწვეტილება, რომ ეს ცვლილება არ მომხდარიყო, საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობის პასუხისმგებლობისგან უკუსვლაზე მიუთითებს. ამასთან ერთად, მასობრივი, თუმცა მშვიდობიანი პროტესტი, რომელიც ამას მოჰყვა, მკაფიო ნიშანია, რომ ამ ჩავარდნით უკმაყოფილება არსებობს. მთავრობის მიერ ამ პროტესტების ძალადობრივი ჩახშობა, ქართველების დემოკრატიული უფლებების და მთავრობის მიერ მისი მოქალაქეების დაცვის ვალდებულების დარღვევაა.

ბოლო ხანს ოპოზიციის ლიდერების მიზანში ამოღება, როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური ხერხებით, საქართველოს დემოკრატიული უკუსვლის დამატებითი მტკიცებულებაა.

ცნობები, რომ ოპოზიციის ლიდერებს მმართველ პარტიასთან დაკავშირებული პირები ფიზიკურად უსწორდებიან ან მათზე ძალადობენ, შემაშფოთებელია. ასევეა, ოპოზიციის წარმომადგენლების წინააღმდეგ წლების წინათ დახურული სისხლის სამართლის საქმეების ხელახლა გახსნა. პოლიტიკოსებს უნდა შეეძლოთ, ისარგებლონ თავისუფლად საუბრის უფლებით და საქართველოს სასამართლო სისტემა არ უნდა იყოს გამოყენებული მათთვის ამ თავისუფლების შეზღუდვის იარაღად.

ჩვენ ვართ განსაკუთრებით შეშფოთებულნი, რომ საქართველოს სასამართლო სისტემის დამოუკიდებლობას ძირი ეთხრება უზენაესი სასამართლოს 14 ახალი მოსამართლის უვადოდ დანიშვნით.

მიუკერძოებელი და დიდი გამოცდილების მქონე მოსამართლეების ნაცვლად პოლიტიკური მოკავშირეების უმაღლეს სასამართლოში დანიშვნა იმ დემოკრატიულ ინსტიტუტებს უთხრის ძირს, რომლებმაც რეგიონში საქართველო შესანატრი მაგალითი გახადა. ცოტა ხნის წინათ გაკეთებული ბატონი ივანიშვილის განცხადება, რომ აქციების უფრო მეტ მონაწილეს მოუწევს ციხეში წასვლა, კიდევ ერთი შემაშფოთებელი ამბავია. ჩვენ იმედი გვაქვს, ეს არ არის იმის ნიშანი, რომ საქართველოს მთავრობა მზადაა, სასამართლო და პოლიცია არამართებულად გამოიყენოს პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

ჩვენ წლებია, შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის პარტნიორობის მტკიცე მხარდამჭერები ვართ და ჯერ ისევ გვჯერა, რომ თქვენ გაქვთ ძლიერი დემოკრატიული საფუძველი. თუმცა, ეს მოვლენები ჩვენ გვაჩერებს და გვიჩენს კითხვებს ჩვენი საერთო ღირებულებებისადმი საქართველოს ერთგულების თაობაზე. ასევე, ვშიშობთ, რომ რეფორმების კუთხით პროგრესის ნაკლებობა და საქართველოს შიგნით დაპირისპირების ზრდა, კარს გაუღებს რუსეთის უფრო მეტად ჩარევას ქვეყანასა და რეგიონში. რაც უფრო დიდხანს გაგრძელდება ეს ქმედებები, უფრო დიდი საფრთხის წინაშე იქნება საქართველოს უსაფრთხოება და ჩვენ შეიძლება მოგვიწიოს, ჩვენს პარტნიორობას გადავხედოთ.

დამოუკიდებელ და დემოკრატიულ საქართველოს ბევრი საერთაშორისო მხარდამჭერი ჰყავს და ძალიან გვსურს, გავაგრძელოთ თქვენი ქვეყნის მხარდაჭერა. თუმცა, ჩვენ გვაქვს მიზეზი, მხარი დაუჭიროთ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ განვითარებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ შეგვეძლება, საქართველოს დავეყრდნოთ როგორც სტაბილურ, სანდო და დემოკრატიულ პარტნიორს ამ საქმეში. ჩვენ გულწრფელად გვაქვს იმედი, რომ თქვენ სწრაფად ეცდებით ამ დაღმასვლის შემობრუნებას და შეასრულებთ დაპირებებს, რომლებიც ქართველ ხალხს მიეცა“, — ნათქვამია წერილში.

გასწოვდეთ, მეოცნებენო! ნაყიდ კონგრესმენთა პირი კარი არ არის, ვერ მიხურავ!

კელი დეგნანი: საქართველომ მიაღწია უზარმაზარ პროგრესს ბოლო წლებში და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი

„ჩემთვის პატივია, ვიმსახურო საქართველოში აშშ-ის ელჩად, მოუთმენლად ველოდები იმ ძლიერი პარტნიორობის გაგრძელებას, რომელიც აშშ-სა და საქართველოს აქვთ“, — საქართველოში აშშ-ის ელჩმა კელი დეგნანმა თბილისში ჩამოსვლის შემდეგ მედიასთან პირველი კომენტარი გააკეთა.

დეგნანის განცხადებით, საქართველომ ბოლო წლებში უზარმაზარ პროგრესს მიაღწია და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

„ჩემთვის პატივია, ვიმსახურო აშშ-ის ელჩად საქართველოში და მოუთმენლად ველოდები იმ ძლიერი პარტნიორობის გაგრძელებას, რომელიც ამერიკასა და საქართველოს აქვთ. თითქმის 30 წლის განმავლობაში ჩვენ ვმუშაობთ ერთად, რომ დავეხმაროთ საქართველოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მშენებლობაში. რა თქმა უნდა, საქართველოს უნარიანობის გაძლიერებაში, დაიცვას საკუთარი საზღვრები და მოქალაქეები. ვფიქრობ, საქართველომ მიაღწია უზარმაზარ პროგრესს ბოლო წლებში და ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი“.

კელი დეგნანი მეცხრე წარმომადგენელია ჩვენს ქვეყანაში. წელიწადზე მეტია, საქართველოში აშშ-ის ელჩი არ ჰყავდა დანიშნული და მოვალეობას ელიზაბეთ რუდი ასრულებდა. კელი დეგნანი ევროპასა და აფრიკაში აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების სარდლის პოლიტიკური მრჩეველი იყო. მანამდე ის კოსოვოსა და იტალიაში აშშ-ის დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელის მოადგილედ მუშაობდა. ასევე, ნატოში აშშ-ის წარმომადგელობაში იყო პოლიტიკური მრჩეველი და თურქეთში აშშ-ის საელჩოში პოლიტიკური მრჩევლის მოადგილე.

არასდროს დავუშვებთ, რომ არასწორი ინფორმაციის გამო, საქართველოსა და აშშ-ის ურთიერთობის საკითხი საეჭვო გახდეს

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძის განცხადებით, საქართველო არასდროს დაუშვებს იმას, რომ გარკვეული არასწორი ინფორმაციის გამო, საქართველოსა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის საკითხი საეჭვო გახდეს.

ჟურნალისტებთან საუბარში მამუკა მდინარაძე სენატორების გუშინდელ წერილს გამოეხმაურა და აღნიშნა, რომ საქართველო აგრძელებს პარტნიორობას ყველა ფორმატში. მისი თქმით, ბუნებაში არ არსებობს რამდენიმე ფაქტი, რაც, სამწუხაროდ, საფუძვლად დაედო კრიტიკას.

„მაგალითად, ბიძინა ივანიშვილი არსად დამუქრებია ოპოზიციას, რომ მათ ციხეში გაუშვებს. ეს არის აბსოლუტურად კონტექსტიდან ამოგლეჯილი ფრაზა, რომელიც სხვა რამეზე იყო მიმართული. ივანიშვილი საუბრობდა, რომ დასანანია, ადამიანები რევოლუციურ სცენარში რომ შედიან, კედელს თავს ურტყამენ და არ ჰყავთ დამრიგებელი, რათა ასეთ ქმედებებზე არ წავიდნენ და უწევთ ციხეში წასვლა. ეს არის სინანულის კონტექსტში ნათქვამი, რომელიც არასწორად გამოიყენეს კრიტიკისთვის. როდესაც საუბარია, რომ მშვიდობიანი აქციის დაშლა ძალადობრივად მოხდა, შეგვიძლია, თავისუფლად ვთქვათ, რომ, სამწუხაროდ, კრიტიკას საფუძვლად რამდენიმე არასწორი ფაქტი დაედო. ამის აღმოფხვრის საშუალება მხოლოდ ერთია — როცა პირდაპირი კომუნიკაცია იქნება ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებთან, იქ გაირკვეს დეტალები და ამის შემდეგ კვლავ ვისაუბროთ ამ თემებზე. ძალიან ცუდია, როცა კრიტიკა არასწორ ფაქტებზე დაყრდნობით ხდება და ამის აღმოფხვრის მიზნით, ინტენსიური კომუნიკაციის დროს ბევრი საუბარი გვექნება. თუნდაც, კამათი, და შევეცდებით, რომ მათ რეალური ფაქტობრივი გარემოებების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ, მათ შორის — ვიდეომტკიცებულებებით.

არასწორი ინფორმაციის გავრცელების წყარო ის ხალხია, რომელთაგან ნაწილი კრემლის აგენტობაზე ოცნებობს, ნაწილი — სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტობაზე. მაგალითად, გუშინ ერთ-ერთი ტელეკომპანიის ეთერში საუბარი იყო კრემლისა და სხვა ქვეყნების სპეცსამსახურების აგენტობაზე. როდესაც მათ ქვეყნის შიგნით დასაყრდენი არ აქვთ, ამასაც კი გაახმოვანებენ ხოლმე. ამ შემთხვევაში, სახელებს და გვარებს მნიშვნელობა არ აქვს და არც დავასახელებ“, — დასძინა მდინარაძემ.

თეა წულუკიანის აზრით, ასეთი დემოკრატიული საქართველო არასდროს ყოფილა!

იუსტიციის მინისტრ თეა წულუკიანის განცხადებით, საქართველოს ხელისუფლება ყურადღებით გააგრძელებს „მეგობარი, მით უფრო, სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან მიღებული წერილების გაცნობას, თუმცა როგორც მინისტრი ამბობს, „იმისთვის ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და ზრდასრული ადამიანები, რომ „დამოუკიდებლად გავაკეთოთ ანალიზი თითოეული ტექსტისა, გვქონდეს უნარი, შევაფასოთ, რა არის რეალობასთან შესაბამისი და რა — აცდენილი“.

კონგრესმენებისა და სენატორების მიერ საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე გამოგზავნილ კრიტიკულ წერილებზე ვიცე-პრემიერმა და იუსტიციის მინისტრმა მთავრობის გუშინდელი სხდომის დასრულების შემდეგ ისაუბრა.

„გასაკვირია, რომ ამ წერილებში ან საერთოდ არა, ან ძალიან მცირე დოზით კეთდება აქცენტი იმაზე, რაც ჩვენ და ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორს აშშ-ს და მის მთავრობას გვაწუხებს და რომლის წინააღმდეგაც ერთად უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა: ეს გახლავთ ოკუპაცია და ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. რაც შეეხება დემოკრატიას, საქართველოში დემოკრატიული პროცესი ასეთი მაღალი დონის, რაც დღესაა, დამოუკიდებლობის შემდეგ არასდროს ყოფილა...

ისიც მახოვს და ვფიქრობ, არ მეშლება, რომ ამ წერილების ავტორები და ზოგიერთი იმასაც აპროტესტებდა და აგზავნიდა წერილებს, რატომ მიეცა მიხეილ სააკაშვილის სისხლის სამართლის პასუხისმგებაში... ამიტომ, გავაგრძელებთ, ყურადღებით გავეცნოთ მეგობარი, მით უმეტეს სტრატეგიული პარტნიორი ქვეყნიდან მიღებულ წერილებს, მაგრამ ჩვენ იმისთვის ვართ დამოუკიდებელი სახელმწიფო და ზრდასრული ადამიანები, დამოუკიდებლად გავაკეთოთ ანალიზი თითოეული ტექსტისა და გვქონდეს უნარი, შევაფასოთ, რა არის რეალობასთან შესაბამისი და რა — აცდენილი“, — განაცხადა წულუკიანმა.

წევრი ქვეყნის დელეგაციის არშემოშვება საქართველოსთვის სანქციებით დასრულდება!

„კერძოდ, ევროსაბჭოს სტატუტი და ასევე შეთანხმება იმუნიტეტების შესახებ, რომლის ხელმომწერები ვართ სწორედ იმ პერიოდიდან, როდესაც ბატონმა ზურაბ ჟვანიამ სწორედ იმ ტრიბუნიდან, სადაც ქალბატონი სალომე იდგა რამდენიმე დღის წინ, თქვა ცნობილი ფრაზა, იმ პერიოდიდან ვართ ჩვენ ამ ტექსტების მონაწილე და რომელიმე წევრი ქვეყნის დელეგაციის საქართველოში არ შემოშვება, დამთავრდება საქართველოსთვის სანქციებით. სანქციები უნდა ოპოზიციას, რომ „ქართული ოცნების“ ხელისუფლების პირობებში სწორედ მკაცრი სანქციები დაედოს სახელმწიფოს“, — განაცხადა იუსტიციის მინისტრმა .

იუსტიციის მინისტრის თეა **წულუკიანის განცხადებით, ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ვიზიტი წარმატებული იყო. ამის შესახებ მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ მედიასთან განაცხადა.**

მინისტრის თქმით, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში, რომელიც გაზაფხულზე საქართველოში გაიმართება, პრეზიდენტს მისი მისამართით დასმულ შეკითხვაზე ის ერთადერთი პასუხი უნდა ჰქონოდა, რომლითაც მან უპასუხა.

კახა კუჭავა: მაქსიმალურად შევეცდებით, რუსულ დელეგაციას ევროსაბჭოში დისკომფორტი შევუქმნათ...

— განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილემ კახაბერ კუჭავამ მას შემდეგ, რაც ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მხარი არ დაუჭირა უკრაინისა და პარტნიორი ქვეყნების წარმომადგენელთა წინადადებას რუსეთის დელეგაციის უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე და რუსეთს უფლებამოსილება სრულად აღუდგინა.

კახაბერ კუჭავას თქმით, დღევანდელ ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა გადაწყვეტილება მინისტრთა საბჭოს მიერ, ეს ფაქტობრივად, წინაპირობა იყო იმისა, რომ ალბათ ასეც მოხდებოდა და ეს ვიცოდით. სამწუხარო იყო, რომ საბოლოო გადაწყვეტილება მათ სასარგებლოდ იყო მიღებული, მით უმეტეს იმ სამარცხვინო გამოსვლების შემდეგ, რომელიც მათ ჰქონდათ ტრიბუნაზე, თუმცა ვთვლით, რომ აუცილებელი იყო დღეს თქმულიყო ის, რაც პრინციპულად ითქვა ჩვენი მხრიდან, უკრაინელების მხრიდან, სხვა ჩვენი ქვეყნების მეგობარი და მომხრეების მხრიდან. დარწმუნებული ვარ, რომ ეს მხოლოდ დასაწყისია და კიდევ უფრო გავურთულებთ მათ მუშაობას. მაქსიმალურად შევეცდებით, შევუქმნათ ყველანაირი დისკომფორტი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში მათი მუშაობის თვალსაზრისით“.

ვინ თქვა, რომ შერეული სისტემა არადემოკრატიულია?!

ფრაქციის „ქართული ოცნება — მწვანეებისა“ და „საქართველოს მწვანეთა პარტიის“ თავმჯდომარე გია გაჩეჩილაძე ამერიკის შეერთებული შტატების სენატორების მორიგ სკანდალურ წერილს „2020NEWS“-თან აფასებს.

სენატორები აღნიშნულ წერილში საქართველოს ხელისუფლებას ოპოზიციის დევნისთვისა და შეუსრულებელი ვალდებულებებისთვის მწვავედ აკრიტიკებენ და აცხადებენ, რომ თუკი ჩვენს ქვეყანაში პროცესები კვლავ არადემოკრატიულად განვითარდება, მაშინ ამერიკა იძულებული გახდება, „საქართველოსთან პარტნიორობა ხელახლა შეაფასოს“. როგორც დეპუტატი საააგენტოსთან აცხადებს, ამერიკის სენატის წევრების წერილმა ის გააოცა, რადგან აღნიშნულში საქართველოს ხელისუფლება უსაფუძვლოდაა გაკრიტიკებული.

„არ არის სასიამოვნო ასეთი განცხადებები, მითუმეტეს, სტრატეგიული პარტნიორისგან. იმ ფონზე, როდესაც ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა მაქსიმალურად ვითარდება, ცოტა გასაოცარიც არის შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის გარკვეული წევრების ასეთი რეაქციები.

ვინ თქმა, რომ შერეული საარჩევნო სისტემა არადემოკრატიულია?! ევროპის ბევრ ქვეყანაში არის შერეული სისტემა. თავად შეერთებულ შტატებსაც ხომ მაჟორიტარული სისტემა აქვს?! არა მგონია, ეს სერიოზული არგუმენტი იყოს“, — განაცხადა გია გაჩეჩილაძემ.

შინაგან საქმეთა მინისტრმა სასაზღვრო პოლიციის თანამშრომლები დააჯილდოვა

შინაგან საქმეთა მინისტრმა ვახტანგ გომელაურმა საქართველო-აზერბაიჯანის სახმელეთო საზღვრის შეუთანხმებელ მონაკვეთზე, შეიარაღებული პირის განიარაღების და დაკავების მიზნით, 14 იანვარს ჩატარებული წარმატებული ოპერაციისთვის სასაზღვრო პოლიციის 12 თანამშრომელი დააჯილდოვა. 4 მათგანს ღონისძიებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალი — „მამაცობისათვის“, 8 მესაზღვრე კი დაჯილდოვდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მედალიონით — „განსაკუთრებული დამსახურებისათვის“.

დაჯილდოების ცერემონიას მინისტრის მოადგილეები — კახა საბანაძე და ვლადიმერ ბორცვაძე, სასაზღვრო პოლიციის უფროსი თემურ კეკელიძე და მისი პირველი მოადგილე კახაბერ ჩიქოვანი დაესწრნენ.

„100 შეთავაზება ბიზნესს“...

ეკონომიკის მინისტრის, ნათია თურნავას განცხადებით, პირველმა ეტაპმა აჩვენა, რომ პროექტი „100 საინვესტიციო შეთავაზება ბიზნესს“, საკმაოდ წარმატებული ინიციატივაა. ამის შესახებ მინისტრმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ განაცხადა.

„ამის დასტურად ვიტყვი, რომ უკვე 50-მდე მილიონი ლარი შემოსავალია მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტში პრექტ „შეთავაზება ბიზნესის“ პროგრამიდან. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ პროექტის დაწყების მომენტიდან, მაღალი იყო ბიზნესის აქტივობა და ინტერესი და ჩვენ გასული წელი, პრივატიზების კუთხით, ორმაგი გადაჭარბებით დავასრულეთ. რაც კი ჩვენ ბიუჯეტში გვქონდა ჩადებული შემოსავლების პრივატიზებიდან, ამ პროგრამის ამოქმედების მომენტიდან წლის ბოლო თვეებში მოხერხდა ის, რომ ორჯერ გადაჭარბდა ეს მაჩვენებელი. აქედან გამომდინარე, პრემიერ-მინისტრთან კონსულტაციის შედეგად მივიღეთ გადაწყვეტილება, გავაფართოოთ პროგრამა“, — განაცხადა ნათია თურნავამ და დასძინა, რომ ამ ახალი პროგრამის ფარგლებში 1800-მდე სამუშაო ადგილი შეიქმნება.

2019 წელს 5,3 პროცენტით მეტი სამშენებლო ნებართვა გაიცა

ოფიციალური დეკლარირებული მონაცემებით, საქართველოში 2019 წელს გაცემულია 10749 ნებართვა (წინა წელთან შედარებით 5,3 პროცენტით მეტი) 7552,9 ათასი კვ.მ ფართობის შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე (წინა წელთან შედარებით 21,7 პროცენტით მეტი). „საქსტატის“ მონაცემებით, ნებართვების 71,1 პროცენტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, ჩასატარებელი სამშენებლო სამუშაოების 48,8 პროცენტი ქ. თბილისზე, 11,7 პროცენტი — აჭარის ა.რ.-ზე და 10,6 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს ნებართვები გაიცა მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსების, სასტუმროების, სავაჭრო ობიექტების, სამრეწველო საწარმოების, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტებისა და სხვა შენობა-ნაგებობების მშენებლობაზე. გაცემულ ნებართვებში შედარებით დიდი წილით წარმოდგენილია მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსები. დამთავრებული მშენებლობების ნახევარზე მეტი მოდის ქვეყნის 3 რეგიონზე. კერძოდ, 34,7 პროცენტი ქ. თბილისზე, 14,1 პროცენტი — კახეთის რეგიონზე, ხოლო 9,6 პროცენტი — ქვემო ქართლის რეგიონზე.

სულ, 2019 წელს ექსპლუატაციაში მიღებულ იქნა 2547,9 ათასი კვ.მ ფართობის (წინა წელთან შედარებით 21,8 პროცენტით მეტი) 2508 ობიექტი (წინა წელთან შედარებით 0,4 პროცენტით ნაკლები).

ირმა ინაშვილი ახალ „ფრონტს“ ხსნის!

გუშინ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“ მასშტაბური გამოკითხვა დაიწყო, რომელიც 7 ძირითადი კითხვისაგან შედგება. პირველ ეტაპზე, ყოველდღე, 11:30 საათიდან, გამოკითხვაში მონაწილეობის მისაღებად საზოგადოებას ორბელიანის მოედანზე მისვლა შეუძლია.

კითხვები, რომლითაც „პატრიოტთა ალიანსი“ ხალხის აზრის გაგებას აპირებს, ასეთია:

1. თანახმა ხართ თუ არა ევროინტეგრაციის შენარჩუნებასთან ერთად საქართველომ სამხედრო მიუმხრობლობა გამოაცხადოს, რაც გულისხმობს, რომ საქართველო არ იქნება არცერთი სამხედრო ბლოკის წევრი;

2. მიგაჩნიათ თუ არა, რომ საქართველოს ერთიანობის აღდგენა, შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ რუსეთთან სამშვიდობო პოლიტიკით, მოსკოვთან, სოხუმთან და ცხინვალთან პირდაპირი დიალოგით, ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენით, საviზო რეჟიმის გაუქმებით;

3. რომელ პარტიას და მის კანდიდატებს დაუჭერთ მხარს 2020 წლის არჩევნებზე;

4. ენდობით NDI-ის კვლევებს?

5. გამოუკითხიხართ თუ არა თქვენ ან თქვენი ახლობელი NDI-ის?

6. ენდობით IRI-ს კვლევებს?

7. გამოუკითხიხართ თუ არა თქვენ ან თქვენი ახლობელი IRI-ს?

გამოკითხვა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა ირმა ინაშვილმა გუშინ ორბელიანის მოედანზე 11:00 საათიდან დაიწყო.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“ ამ აქციის ერთ-ერთი საინფორმაციო მხარდამჭერია და პერიოდულად მოგაწვდით ინფორმაციას იმ ლოკაციების შესახებ, სადაც გამოკითხვა ჩატარდება.

საქალაქო სასამართლოსთან ნიკა გვარამია გალახეს!

თბილისის საქალაქო სასამართლოსთან სერიოზული დაპირისპირება მოხდა. ტელეკომპანია „მთავარი არხის“ დამფუძნებელს ნიკა გვარამიას უცნობი პირები ფიზიკურად დაუპირისპირდნენ, რის შემდეგაც მას ექიმის დახმარება დასჭირდა. სიტუაცია სასამართლოს მანდატურის სამსახურმა განმუხტა, რის შემდეგაც პოლიციამ სამი პირი სასამართლოს ტერიტორიიდან განარიდა.



სასამართლოში „მთავარი არხის“ მეწილის გიორგი რურუას პროცესი იმართება, ნიკა გვარამია კი მისი უფლებადამცველია. პროცესის პარალელურად „ევროპული საქართველოს“ წევრები სასამართლოსთან აქციას მართავენ.

გიორგი რურუა პოლიციამ 2019 წლის 18 ნოემბერს სსკ-ის 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულისთვის დააკავა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებას გულისხმობს.

მედიაში 24 სექტემბერს გავრცელდა ინფორმაცია, რომ პოლიტიკოს ნიკა რურუას ძმამ გიორგი რურუამ „მთავარის“ მეწილისგან კახა ანჯაფარიძისგან 2.5%-იანი წილი იყიდა, რაშიც, როგორც ნასყიდობის ხელშეკრულებაშია მითითებული, 2 500 ლარი გადაიხადა.

კახა კოჟორიძე პროკურატურაში დაიბარეს

პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრი კახა კოჟორიძე გუშინ პროკურატურაშია დაიბარეს. როგორც imedinews-ს გენერალურ პროკურატურაში განუცხადეს, კახა კოჟორიძე თბილისის პროკურატურაში დაბარებული იყო გენერალურ პროკურატურაში შეტანილი მისი განცხადებისა და მოთხოვნების დეტალების დასაზუსტებლად.

კერძოდ, 17 იანვარს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში პარტია „ლელო საქართველოსთვის“ წევრებმა კახა კოჟორიძემ და ანა ნაცვლიშვილმა მოსამართლე გიორგი არევაძის, ვანო ზარდიაშვილისა და პრემიერ-მინისტრ გიორგი გახარიას შესაძლო შეხვედრასთან დაკავშირებით განცხადება შეიტანეს და გამოძიების დაწყება მოითხოვეს.

რაც კადრებში ვნახე, ამაზრზენია!..

რაც მე კადრებში ვნახე, ამაზრზენია, ამასა არ აქვს არანაირი გამართლება, იზორიას კი არა, ჩემი ძმა რომ იყოს, უარესი შეფასება მექნებოდა, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი გახარიამ ლევან იზორიას ძმასთან დაკავშირებით გავრცელებულ ვიდეოზე კომენტირებისას აღნიშნა.

— ადამიანები, რომლებიც ატარებენ ფორმას, პოლიციელები, ყოველდღიურად თავიანთი ჯანმრთელობისა და სიცოცხლის ფასად ზრუნავენ ჩვენი ოჯახის წევრებისა და მოქალაქეების უსაფრთხოებაზე... კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღვნიშნავ, ეს არის უკიდურესად მიუღებელი და ეს იყო უბრალოდ ამაზრზენი, რაც მე ამ კადრებში ვნახე“...

ბახმაროს განაშენიანების გეგმა დამტკიცდა

საქართველოს მთავრობამ რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ შემუშავებული დაბა ბახმაროს დასასვენებელი სკვერების განაშენიანების რეგულირების გეგმა დაამტკიცა. ამის შესახებ ინფორმაციას ინფრასტრუქტურის სამინისტრო ავრცელებს.

სამინისტროს ცნობით, გეგმა მოიცავს ბახმაროს სარეკრეაციო არეალში მდებარე 13 805 კვადრატული მეტრის ტერიტორიაზე საფეხმავლო ბილიკების მოპირკეთების, ტროტუარისა და ნარგავების, ბორდიურების, ტერიტორიის მწვანე საფარის, დეკორატიული ღობის მოწყობის და გამწვანების სამუშაოებს. სკვერში განთავსდება სკამები, დამონტაჟდება გარე განათება, ფანჩატური და გაკეთდება ბავშვთა სათამაშო სივრცეები. მოწესრიგდება საინჟინრო-საკომუნიკაციო ინფრასტრუქტურა.

საპროექტო ტერიტორიის საპარკე ფუნქციით განვითარება უკვე დაწყებულია, განაშენიანების რეგულირების გეგმის ფარგლებში კი იგეგმება სკვერის გაფართოება.

დაბა ბახმაროს განახლებული სარეკრეაციო ტერიტორიის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა 2017 წელს დამტკიცდა. როგორც მიწათსარგებლობის, ისე განაშენიანების რეგულირების გეგმა ხელს შეუწყობს დაბის სწორ განვითარებას და დაიცავს კურორტს ქაოტური განაშენიანებისაგან.

სვანური სენსაცია!

მესტიის მუნიციპალიტეტმა დეკემბერში იმდენი ელექტროენერგია მოიხმარა, რაც 19-მა მუნიციპალიტეტმა ერთად!

გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მესტიის მუნიციპალიტეტის ელექტროენერგიის მოხმარება თითქმის გასამმაგებულია. მოხმარების ზრდა გასულ წლებშიც აღირიცხებოდა, თუმცა ბოლო 6 თვის განმავლობაში, ელექტროენერგიის მოხმარება კრიტიკულად გაიზარდა. ამის შესახებ „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ბოცვაძემ 2019 წლის მუშაობის ანგარიშის წარდგენისას განაცხადა, — ინფორმაციას „ენერგო-პრო ჯორჯია“ ავრცელებს.

მისი ინფორმაციით, 2019 წლის დეკემბერში მესტიის მუნიციპალიტეტმა მოიხმარა იმდენივე ელექტროენერგია, რაც იმავე პერიოდში, ერთად აღებულმა 19 მუნიციპალიტეტის საყოფაცხოვრებო მომხმარებლებმა, ეს მუნიციპალიტეტებია: ამბროლაური, ასპინძა, ონი, თიანეთი, დმანისი, აბაშა, ხარაგაული, ვანი, ჩხოროწყუ, ცაგერი, ლენტეხი, თეთრიწყარო, ყაზბეგი, ჩოხატაური, ბაღდათი, ქედა, შუახევი, წალკა, ხონი.

„ელექტროენერგიის გაზრდილი მოხმარება მნიშვნელოვან საფრთხეს უქმნის ქსელის მდგომარეობას და მომხმარებელთა უსაფრთხოებას. იმის გათვალისწინებით, რომ მაღალი ძაბვის არაერთი ქვესადგური თუ მაღალი ძაბვის ხაზი დატვირთულია 100% და მეტით, აშკარაა იმის საფრთხე, რომ ისინი მწყობრიდან გამოვიდეს, რაც ავტომატურად გამოიწვევს მესტიაში ათასობით აბონენტის ენერგომომარაგების ხანგრძლივ შეზღუდვას.

კომპანიაში წარმოებული ანალიზი ადასტურებს, რომ მოხმარების დრამატული ზრდის მიზეზი არის კრიპტოვალუტის მწარმოებელი, საშუალო თუ მცირე, ფერმების მესტიაში გადატანა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული ვალუტის ღირებულების შემცირების გამო, მათ აბსოლუტურ უმრავლესობას შეწყვეტილი აქვს ელექტროენერგიის მიწოდება კომპანიის სხვა მომსახურების ცენტრებში.

ამავდროულად, მიუხედავად მცდელობისა, კომპანია ვერ ახერხებს, მესტიის რაიონში განახორციელოს საბალანსო აღრიცხვის წრედების დამონტაჟება, რაც მარტივად უზრუნველყოფდა გაზრდილი მოხმარების კონტროლს და ქსელზე არალეგალურად მიერთებული მომხმარებლების გამოვლენას“...

სს „ენერგო-პრო ჯორჯიას“ გენერალური დირექტორი მიხეილ ბოცვაძე აცხადებს, რომ კომპანია განაგრძობს ანალიზს, დაკვირვებას და კონკრეტული ქმედებების განხორციელებას ინფრასტრუქტურის მწყობრიდან გამოსვლისა თუ მასშტაბური ავარიების პრევენციის მიზნით. რაც შეეხება სამომავლო ნაბიჯებს, რა თქმა უნდა, კომპანია ამუშავებს კომპლექსურ გეგმას იმის შესახებ, თუ როგორ გამოსწორდეს მდგომარეობა, გამოვლინდეს ყველა არაკეთილსინდისიერი მომხმარებელი, რომელთა მავნებლურმა ქმედებებმაც უკვე სერიოზული ზიანი მიაყენეს ზემო სვანეთის მკვებავ ქსელს, რეგიონი გაწირეს ჩაბნელებისთვის და საფრთხის ქვეშ დააყენეს დასახლებული პუნქტების ელექტრომომარაგება.

„დროის ძალიან მოკლე მონაკვეთში მოვახდინეთ რისკის იდენტიფიცირება, გაზრდილი მოხმარების გაანალიზება და ადგილობრივი სამართალდამცველ სტრუქტურებთან კოორდინირებული ქმედებების შედეგად, უკვე აღმოჩენილია არაერთი მსხვილი დატაცების ფაქტი, თუმცა კიდევ ბევრი ლოკაციაა, სადაც არსებობს მსგავსი პრობლემა და დაწყებული პროცესის გაგრძელდება კრიტიკულად აუცილებელია.

შეგვიძლია, დავასკვნათ, რომ კრიზისიდან უკვე გამოვედით, რეგიონი სტაბილურად მარაგდება ელექტროენერგიით, შეუფერხებლად მიმდინარეობს საკურორტო სეზონი, თუმცა მდგომარეობის სრულად დასტაბილურებას კიდევ სჭირდება დრო და ყურადღება“...

ინფორმაციისთვის ენერგო-პრო ჯგუფი უკვე 13 წელია, საკუთარი დაფინანსებით, უსასყიდლოდ აწვდის ელექტროენერგიას ზემო სვანეთის მოსახლეობას, ამ წლების განმავლობაში უკვე უსასყიდლოდ მიწოდებულია 588 მილიონი კვტ/სთ, რომლის ღირებულება დაახლოებით 50 მილიონ ლარს აჭარბებს. ხაზგასასმელია, რომ ყოველი მიწოდებული კილოვატსაათი კომპანიის მიერ შესყიდულია სხვადასხვა მომწოდებლისგან, გადახდილია ყველა მოსაკრებელი და გადასახადები.

ნიკოლოზ ანთიძე

კულტურული მემკვიდრეობის შეუფასებელი ღირებულებების ახლანდელი და, მით უმეტეს, მომავალი თაობებისთვის ყოვლისმომცველ მნიშვნელობაზე, მით უფრო გარე თუ შიდა მტერ-მოყვარის „ჩალიჩის“ პირობებში, ლაპარაკი სრულიად ზედმეტად მიმაჩნია. ქართველი ხალხის სულიერი და მატერიალური საგანძურის ზეგავლენა ეროვნულ იდენტიფიცირებასა და თვითშეგნებაზე განუზომლად დიდია, ამიტომაც ყველა იმ სახელმწიფო უწყებას, არასამთავრობო ორგანიზაციას თუ ამ სფეროში დაკავებულ ნებისმიერი დონის პროფესიონალს, ერისა და მომავლის წინაშე მისი მოვლა-პატრონობის უაღრესად პატივსაცემი და საპასუხისმგებლო მისია აკისრია.

ზემონათქვამი სრულად მიესადაგება ათასწლეულების მანძილზე ქართველი ერის მიერ გამოვლილ უდიდეს გზაზე შექმნილ მატერიალური თუ არამატერიალური მემკვიდრეობის უპირველეს პატრონს — საქართველოს კლუტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და მის თავკაცს, ბატონ **ნიკოლოზ ანთიძეს**, რომელთან შეხვედრისას მისადმი დაქვემდებარებული უწყების შარშანდელ საქმიანობაზე, არსებულ პრობლემებზე, მიმდინარე მოღვაწეობასა და სამომავლო გეგმებზე ვისაუბრეთ.

მაშ ასე, ბატონ ნიკოლოზ ანთიძე მკითხველს შემოქმედებით ანგარიშს აბარებს:

თუკი წარსულს ჯეროვნად არ გავუფრთხილდებით, მომავალი მკაცრად მოგვკითხავს!

— პირველ ყოვლისა, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოსა და პირადად ჩემი სახელით გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ ყველა მკითხველს 2020 წლის დადგომა მინდა მივულოცო, მისი მშვიდობიანად და წარმატებულად წარმართვა ვუსურვო, რადგან ჩვენს ქვეყანას ძალიან ბევრი გარდატეხის მომენტის გავლა მოუწევს, რომელთა მოსახლეობისთვის სასიკეთოდ მოგვარებას ერის მომავლისთვის დიდი მნიშვნელობა ექნება.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს, მის მნიშვნელობაზე ლაპარაკს ნამდვილად არ მოვყვები, ვიტყვი მხოლოდ, რომ ერთი პირობა სააგენტოში სლოგანზეც კი ვიფიქრეთ და ასეთი რამ მოვიფიქრეთ: „მემკვიდრეობა არის **მომავლისთვის,** რომლის გარეშე **მომავალი** არა გვაქვს“. ისიც გვახსოვს მუდამ, რომ ჩვენს დაწესებულებასა და, საერთოდ, ამ დარგში მომუშავე ადამიანებს, „პურს წინაპრები გვაჭმევენ“... ეს, ცხადია, ხუმრობით.

ამდენად, მერწმუნეთ, რომ სააგენტოს თითოეულ თანამშრომელს, ასევე სხვაგან მომუშავე ჩვენს კოლეგებს, სავსებით აქვთ შესისხლხორცებული, რომ წინაპრების დანატოვარსა და თუნდაც მცირე ნაკვალევს დიდი მოფრთხილება სჭირდება, ვინაიდან ის წარსულთან უმნიშვნელოვანესი კავშირის უმთავრესი ძარღვია.

2019 წელიც მეტად აქტიური იყო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით. თავდაპირველად მინდა მოკლედ შევეხო სფეროს რამდენიმე გლობალურ ასპექტს. პირველი ისაა, რომ 2019 წელს სააგენტოს ბიუჯეტმა 9 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა, რასაც ფონდ „ქართუს“ მიერ მიზნობრივად გამოყოფილი 20 მილიონი ლარი დაემატა, რომელიც ჩვენ დარგში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელების ფინანსურ უზრუნველყოფას მოხმარდა. სწორედ აქ იჩინა თავი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროსთვის მეტად მტკივნეულმა პრობლემამ, რომელსაც **დარგში კვალიფიციური სპეციალისტების აშკარა უკმარისობა ჰქვია.** თვალნათლივ წარმოჩინდა, რომ, მართალია, ფული ბევრ რამეს კი წყვეტს, მაგრამ სპეციალისტების დეფიციტს, რომ იტყვიან, „ხელის ერთი დაკვრა“ ნამდვილად ვერ შველის. აქ თქვენი ყურადღება თვალის ერთი გადავლებით თითქმის შეუმჩნეველ ნიუანსზე მინდა შევაჩერო: როცა სააგენტოს განკარგვაში ცოტა ფული იყო და, შესაბამისად, ჩაშვებული არც ბევრი პროექტი გვქონდა, პრობლემა თითქოს მიჩუმათებული იყო — შედარებით ნაკლებ საქმეს ასევე მცირე ძალებითაც ავუდიოდით. მაგრამ, როცა სახელმწიფო დაფინანსება გაგვეზარდა და ფონდმა „ქართუმაც“ ძლიერი მატერიალური თანადგომა გაგვიწია, ერთბაშად სამუშაოთა მოცულობა მკვეთრად გაიზარდა და მრავალი მიმართულებისა და კვალიფიკაციის სპეციალისტიც გაცილებით მეტი გახდა საჭირო, რომლებიც, სამწუხაროდ, საკმაო ოდენობით არ გვყავს.

ამის თაობაზე ლაპარაკი წლების განმავლობაში მუდმივად იყო: თბილისის სამხატვრო აკადემიაში რესტავრაციის ფაკულტეტიც კი გაიხსნა, მაგრამ სასურველი შედეგი მაინც ვერ მივიღეთ — მაგალითად, შარშან ამ სპეციალობაზე არც ერთი სტუდენტი არ მიუღიათ!..

მუცო

ამდენად, დღესდღეობით ისეთი ვითარებაა, რომ დარგში სპეციალისტების დეფიციტი ძალიან მაღალია. წარმოიდგინეთ: სააგენტოსა და ფონდ „ქართუს“ ერთობლივად განსახორციელებელი დაახლოებით ორასზე მეტი პროექტია არქეოლოგიაში, ხუროთმოძღვრების ძეგლების სარეაბილიტაციოდ და ა. შ., ხოლო საქმის რეალურად და, რაც მთავარია, კვალიფიციურად შემსრულებელი ჩვენს დარგში დაახლოებით 35 სუბიექტია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თითოეულ მათგანს 6-7 უმნიშვნელოვანესი პროექტის განხორციელება უწევს, რაც აუცილებლად უარყოფითად მოქმედებს სამუშაოს შესრულების ხარისხზე. სწორედ ამის გამო იყო, რომ სააგენტოს სპეციალისტებს სარესტავრაციო სამუშაოების ხარისხის კონტროლის პრობლემა გაუჩნდა, ინტელექტუალური რესურსების თვალსაზრისით კი საგრძნობი გარღვევა წარმოგვეშვა.

ამიტომაცაა, რომ 2020 წელი, პირადად ჩემთვის, ერთგვარად დიდი გარდატეხის დრო უნდა გახდეს, როცა **დარგში მოთამაშეთა რაოდენობა აუცილებლად გაიზრდება,** ოღონდ ეს უნდა მოხდეს არა სპონტანურად, არამედ საჭიროა, დაინტერესებულ ადამიანთა, ასევე უცხოელი სპეციალისტების მოძიება და ჩამოყვანა, კონკრეტულ ძეგლებზე პრაქტიკული მეცადინეობების გამართვა, რაშიც აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენმა ახალგაზრდებმა — ხელოსნებიდან მოყოლებული არქეოლოგებითა და რესტავრატორებით დამთავრებული. ამ მიმართულებით სათანადო მუშაობა უკვე დაწყებული გვაქვს.

ესაა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საქმეში სათანადო კვალიფიკაციის სპეციალისტების დეფიციტის აღმოფხვრის უმნიშვნელოვანესი პროცესი. თავად პრობლემას კი, ჩემი აზრით, შემდეგი მიზეზები აქვს: პირველი — მიუხედავად ჩვენში სოციალური ქსელების საკმაოდ მაღალი აქტიურობისა, საზოგადოების დიდ ნაწილს მაინც არა აქვს სათანადო ინფორმაცია იმის თაობაზე, თუ რა ხდება საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის თვალსაზრისით, რა როლი აკისრია დარგს ქვეყნის განვითარებაში. მეორე მიზეზი კი პირველიდან გამომდინარეობს: როცა საზოგადოება სათანადოდ არ არის ინფორმირებული დარგის მნიშვნელობასა და მასში მიმდინარე პროცესებზე, იმაზე, რომ ამ სფეროში კვალიფიცირებული სპეციალისტი აუცილებლად უზრუნველყოფილი იქნება სამუშაოთი, იქ მოღვაწეობის სურვილიც ადამიანებში ნაკლებადაა. ამიტომ, უკვე წამოწყებული პროექტების გაგრძელებისა და წარმატებით დასრულების გარდა, **სააგენტოს მთავარი მიზანია კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროს შესახებ საზოგადოების მაქსიმალურად ინფორმირების ყველაზე ეფექტიანი მექანიზმების ჩამოყალიბება კომუნიკაციის სადღეისოდ არსებული ყველა არსებული ფორმით**. კიდევ ერთხელ გავიმეორებ: დღესდღეობით ისეთი ვითარებაა, რომ საზოგადოების დიდმა ნაწილმა არც კი იცის, არსებობს თუ არა ქვეყანაში კულტურული მემკვიდრეობის დაცვაზე მზრუნველი სახელმწიფო დაწესებულება, თავი რომ დავანებოთ მისი საქმიანობის შესახებ ჯეროვნად ინფორმირებულობას. ამ მხრივ, ცოდნა ხშირად სუფრასთან ბრტყელ-ბრტყელი „მხურვალე მამულიშვილური“ სადღეგრძელოების მიმართულებითაა „დაფერდებული“.

ამიტომაც, **წლეულს ჩვენი უმთავრესი ამოცანაა დარგში სპეციალისტების მოზიდვა და, ამავდროულად, სამამულო კადრების მომზადებაზე ზრუნვა.** წინააღმდეგ შემთხვევაში, რაგინდ მძლავრი ფინანსური რესურსები ჰქონდეს სააგენტოს, საქმეს ჯეროვნად მაინც ვერ გავუძღვებით. გასათვალისწინებელია ისიც, რომ **ეს არ არის მოკლევადიანი პერსპექტივა, ესაა უდიდესი ეროვნული მნიშვნელობის მქონე მუდმივი საქმიანობა, რომელიც არ შეიძლება რომელიმე პერიოდში არა თუ დასრულდეს, არამედ რაღაც საგრძნობი ვადით თუნდაც შეფერხდეს!** ამდენად, დარგში დასაქმებული ყველა პროფილისა და დონის სპეციალისტი მუდამ იქნება უზრუნველყოფილი ჯეროვანი სამუშაოთი. ეს კი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, საკმაოდ წონადი არგუმენტია დარგში ახალი ძალების მოსაზიდად. დასტურად, თუნდაც რამდენიმე ციფრის მოყვანა შემიძლია. მიუხედავად იმისა, რომ სააგენტოს პროექტების განხორციელებაში შარშან მხოლოდ 35 კომპანია იყო ჩართული, ჩვენი ბიუჯეტით დასაქმებული 100 ათასზე მეტი კაცი იყო. დამეთანხმებით, ამ ოდენობით სამუშაო ადგილის შექ-

მნა, თუნდაც ქვეყნის მასშტაბით, სოციალურად მეტად მნიშვნელოვანი დატვირთვის მქონე ფაქტია! ამ ოდენობაში, ცხადია, ის დასაქმებულებიც შედიან, ვინც უშუალოდ სპეციალისტ-რესტავრატორებს ეხმარებიან, ამიტომ რაც უფრო მეტი ამ განხრის მუშაკი გვეყოლება, მით უფრო მეტი ხალხი დასაქმდება! ამდენად, დარგის წარმატებულად განვითარებას დიდი სოციალური დატვირთვაც აქვს.

რაც შეეხება კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შარშან მიღწეულ წარმატებებს, კარგი შედეგი ბევრი მიმართულებით გვაქვს. პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო ხევსურეთში **მუცოს** რეაბილიტაციის პროექტი, რომლითაც ერთგვარი სტანდარტი დავამკვიდრეთ: მუცოს დონეზე ქვემოთ სამუშაოები არ უნდა იყოს შესრულებული. აღსანიშნავია, რომ მუცომ 26 საუკეთესო ევროპულ პროექტს შორის გაიმარჯვა, რაც ჩვენთვის დიდად საამაყოა. განსაკუთრებულად მინდა აღვნიშნო, რომ მუცოს პროექტმა არა ევროპული საზოგადოების თუნდაც სერიოზული წარმომადგენლობითი კომისიის გადაწყვეტილებით, არამედ ონლაინ-რეჟიმში გამოკითხული ყველა ქვეყნის მოქალაქის მიერ ხმის მიცემით გაიმარჯვა, რაც, ჩვენთვიმს მეტად საამაყოა და უდავოდ დიდი მიღწევაა.

გარდა ამისა, არის ორი მეტად მნიშვნელოვანი თემა, რომელიც სააგენტოს ქვეყნის საზღვრებს გარეთ მოღვაწეობას ეხება. პირველი მათგანი იმაში მდგომარეობს, რომ **ისრაელში** შეთანხმებას მივაღწიეთ იქაურ ჩვენს კოლეგა ინსტიტუციასთან იერუსალიმში ქართველთა ბილ ელ კუტის მონასტრის ტერიტორიაზე არქეოლოგიური გათხრების ჩატარების თაობაზე. ქართველ მკვლევართა პირველმა ჯგუფმა იერუსალიმში გარკვეული სამუშაოები უკვე ჩაატარა, რომელთა შედეგად ამჟამად ხელთ გვაქვს მონასტრის სკანირებული ვერსია.

ციისკანულ ეკლესიასთან და ისრაელის ხელისუფლებასთან შეთანხმების საფუძველზე განხორციელდება.

ამის პარალელურად, ჩვენ დავიწყეთ ქართველთა მონასტრის ნაკვალევის ძიება **შიჰანში, იორდანიაში,** სადაც მე-9-მე-10 საუკუნეებში ჩვენი წინაპრები ისრაელიდან გადავიდნენ და ტაძარი ააგეს. იერუსალიმის პარალელურად სააგენტოს ექსპედიცია ამ ქვეყანაშიც იმყოფებოდა და მოხერხდა იმ კონკრეტული ადგილის მიგნება, სადაც, სავარაუდოდ, შიჰანის მონასტერი უნდა ყოფილიყო.

ვფიქრობ, მკითხველს ესიამოვნება იმის შეტყობა, რომ **იორდანიის კოლეგა ინსტიტუციასთან სათანადო შეთანხმება უკვე მიღწეული გვაქვს, მემორანდუმიც გავაფორმეთ და სამუშაოთა წარმოების კონკრეტულ პროექტსაც ვამზადებთ,** რის შემდგომ წლეულს ქართულ ნამონასტრალზე პრაქტიკულ სამუშაობსაც შევუდგებით.

საზოგადოებისთვის უკვე ცნობილია, რომ კვიპროსში დავასრულეთ ვალიის ქართული მონასტრის რეაბილიტაცია, გარდა ამისა, ქალაქ ლარნაკას მახლობლად აღმოჩენილია კიდევ ორი ქართული მონასტერი, რომელთა კვლევას სააგენტოს სახსრებით წელსაც განვაგრძობთ.

კიდევ იმის თქმა მინდა, რომ ლოკალურად, **სააგენტოს ძალისხმევით, ისეთი დიდი პროექტებიც მიმდინარეობს, როგორებიცაა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხიდან ჩაგეშის ტაძრის რეაბილიტაცია, სვეტიცხოვლის სკანირება, მცხეთის მთავარი ჯვრის საყდრის კონსერვაცია, უჯარმის, სამშვილდის, ფიტარეთის, აწყურის, კუმურდოს, ზარზმის, ბიეთის საყდრების, ნოქალაქევის ციხე-არქეოპოლისის, გორისციხის, სვანეთის სხვადასხვა სოფელში კოშკებისა და მაჩუბების აღდგენა-რესტავრაცია.** წლეულს, მარტო არქეოლოგიური სამუშაოების ჩასატარებლად, სააგენტოს მილიონი ლარი აქვს გამოყოფილი, რაც იმ მიზანსაც ემსახურება, რომ **სატენდერო დოკუმენტაციაში მოთხოვნის სახით პირდაპირაა მითითებული, რომ დაფინანსების მისაღებად ამ სპეციფიკის ყველა ექსპედიცია ვალდებული იქნება, საველე სამუშაოებში რეალურად მიაღებინოს მონაწილეობა სულ მცირე ხუთ სტუდენტს.**

მინდა აღვნიშნო ისიც, რომ მეტად საგულისხმოა ვეტერან სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებული პროექტი, რომელსაც საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან ერთობლივად ვახორციელებთ. **მეოთხე წელიწადია, რაც საომარ მოქმედებებში დაჭრილთათვის ნოქალაქევში ვატარებთ რესოციალიზაციის პროგრამას,** თანაც არა მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის. მაგალითად, შარშან იქ მოწვეული გვყავდა ვეტერანი სამხედროები ესტონეთიდან, დიდი ბრიტანეთიდან, წლეულს ამერიკელებს ველით. ეს სამხედროები არქეოლოგიური ექსპედიციის ბაზაზე ცხოვრობენ და, ფიზიკურ შესაძლებლობათა ფარგლებში, სათანადო სამუშაოებს ასრულებენ. პირველივე სეზონის შემდეგ, ამ, ასე ვთქვათ, „არქეოლოგიურ-სოციალურმა“ პროექტმა, იმდენად კარგი შედეგი გამოიღო, რომ ერთგვარად „გავთამამდით“ და, შესაძლებლობის ფარგლებში, ჩვენი მოღვაწეობის ამ მიმართულებას მაქსიმალურად ვაძლიერებთ: **კულტურულ მემკვიდრეობას არა მარტო მომავლისთვის, არამედ ადამიანთა ფიზიკური გამოჯანმრთელებისთვისაც დიდი მნიშვნელობა აქვს.** ამის საუცხოო მაგალითია ერთ-ერთი ბრიტანელი სახმედრო მოსამსახურე, რომელიც 2015 წელს ნოქალაქევში კი იყო ჩამოსული, მაგრამ კონტაქტში არავისთან შედიოდა. საქმე ისაა, რომ ახალგაზრდა სნაიპერი ავღანეთში მსახურობდა, სადაც, როგორც ჩანს, მძიმე განცდების შედეგად, ფსიქიკა, ფაქტობრივად, ერთიანად მოეშალა. მაგრამ, შინ უკვე სულ სხვა კაცი დაბრუნდა, რომელიც ექსპედიციაში შეძენილ ახალ მეგობრებს

მუცოს აღდგენის პროცესი

თვალცრემლიანი ემშვიდობებოდა, წასვლაც კი არ უნდოდა.

სააგენტოს მოღვაწეობის კიდევ ერთი მხარეა **არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის** მიმართულებით საქმიანობა. ამ შემთხვევაში, მხედველობაში მაქვს ბუნებრივი რესურსებისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან ერთობლივად იუნესკოს შესაბამის ქვედანაყოფში წარდგენილი მოთხოვნა ქართული ხორბლის აღიარების თაობაზე. პარალელურად **მიმდინარეობს მუშაობა ქართულ-ებრაულ ურთიერთობებთან დაკავშირებით,** რომლის 26-საუკუნოვანი ისტორიის შესახებ საქართველოში კი კარგად ვიცით, მაგრამ ამ უნიკალური და მსოფლიო ისტორიაში უპრეცედენტო მოვლენის შესახებ მთელმა ცივილიზებულმა სამყარომაც უნდა შეიტყოს.

კიდევ ერთი საგულისხმო თემა, რომელზეც ამჟამად ვმუშაობთ, **ქართული სუფრის ტრადიციებია,** რომელიც გვინდა მსოფლიოს არამატერიალური მემკვიდრეობის ნუსხაში შევიტანოთ, როგორც ჩვენი ქვეყნის იდენტობის განსაკუთრებული ნიშანი.

ისიც მინდა გითხრათ, რომ მსოფლიო არამატერიალური კულტურის ნუსხაში ქართული ფენომენის გამოხატვის გარკვეული ობიექტების შეყვანასთან დაკავშირებით, ერთგვარად, თუ შეიძლება ითქვას, „გაგვათამამა“ ამ სიაში ქართული ანბანის სამი სახეობის, შემდეგ კი ქართული ჭიდაობის შეტანამ.

ჰოდა, ახლა, ამ დიდებულ ჩამონათვალში, როგორც მოგეხსენებათ, ველით რამდენიმე „ქართულ ნომინაციას“ — **ხორბალს, ქართულ-ებრაულ ურთიერთობებსა და სუფრის ტრადიციებს.**

ვფიქრობ, ყალბ თავმდაბლობაში არ ჩამითვლით, მაგრამ, დანამდვილებით ვიცი, რომ თუნდაც ბოლო წლის განმავლობაში სააგენტოს საქმიანობის შესახებ, საუბარში ბევრი საგულისხმო რამ „ჩარჩოებს მიღმა გვრჩება“, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ამ ხარვეზს თანდათანობით ერთობლივად შევავსებთ. ისე კი, ისიც მინდა გითხრათ, რომ უნაკლო, რასაკვირველია, არც ჩვენი მუშაობაა, მაგრამ, მოგეხსენებათ, როცა პატარ-პატარა ხარვეზების გამოსწორება სამუშაო პროცესში ხდება, ეს საქმეს არ აფუჭებს.

ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა, რომლის წინაშე სააგენტო გამუდმებით აღმოჩნდება ხოლმე, ესაა **კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების მიმდებარე ტერიტორიებზე უკანონო მშენებლობები.** აღსანიშნავია, რომ პრემიერ-მინისტრთან პირადი შეხვედრის შემდეგ ეს საკითხი პრინციპულად გადაწყდა: მისი განკარგულებით ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში შესაბამისი მონიტორინგების განმხორციელებელი სამსახურები შეიქმნება, რომლებიც მსგავს არასამართლებრივ საქმიანობას არ დაუშვებენ და სადაც სააგენტოს თანამშრომლები იმუშავებენ. ეს პრაქტიკა თავდაპირველად ჯერ ოთხ მხარეში — კახეთში, ქვემო ქართლში, სამცხე-ჯავახეთსა და სამეგრელო-ზემო სვანეთში დაინერგება. გაისად კი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ინსპექტირების პროცესში სააგენტოს თანამშრომლები ქვეყნის სხვა რეგიონებშიც ჩაერთვებიან. ეს, ჩემი აზრით, ინსტიტუციურად მეტად მნიშვნელოვანი ნაბიჯია.

ხაზი მინდა გავუსვა კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებით ისეთ მართლაც რომ ძირეულ საკითხს, როგორსაც სათანადო იურიდიული ბაზა წარმოადგენს. ამ მხრივ, სააგენტოს ინტენსიური მოქმედების სტრატეგიული მიმართულებაა სათანადო საკანონმდებლო ინიციატივების მომზადება: ჩვენს სფეროში აუცილებელია, შეიქმნას „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის ერთიანი კოდექსი“. ორივე მიმართულებით აუარება კანონი და კანონქვემდებარე აქტია, რომელთაც ერთიან მწყობრ სისტემაში ჩამოყალიბება სჭირდებათ. გარდა ამისა, არის კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი ასპექტი, რომელთა მიმართულებით საკანონმდებლო რეგულაციები საერთოდ არა გვაქვს — ასეთია, მაგალითად, არამატერიალური მემკვიდრეობა, მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში შეტანილი ძეგლების მართვა, ინსპექტირება-მონიტორინგი და სხვ. ამიტომ, **ყველაფერი ერთ დოკუმენტად შევკარით, რომელსაც „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობის კოდექსი“** ვუწოდეთ და ვიწყებთ მის საჯარო განხილვებს, რათა აზრთა შეჯერების შემდგომ სამინისტრომ ის პარლამენტში წარადგინოს.

ბუნებრივია, დაისმის კითხვა: რატომ მაინცდამაინც „კულტურული და ბუნებრივი მემკვიდრეობა“ ერთად? პასუხი მარტივია: ჩვენ არ ვიჭრებით გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კომპეტენციაში, ამ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს პალეონტოლოგია, რომელიც დღესდღეობით კანონმდებლობით სრულიად დაუცველია. საკითხის აქტუალობა უფრო თვალნათლივი რომ გახდეს, გეტყვით, რომ, მაგალითად, არავინაა ვალდებული, ვთქვათ, დმანისში უძველესი ადამიანის ნაკვალევის მსგავსი უდიდესი მნიშვნელობის პალეონტოლოგიური მიგნების შემთხვევაში მას მოუფრთხილდეს და ნაპოვნის შესახებ ხელისუფლებას შეატყობინოს, რაც სრულიად დაუშვებელია.

იერუსალიმი. ჯვრის მონასტერი

ცნობისათვის: ეს გახლავთ მე-5 საუკუნეში პეტრე იბერის მიერ დაარსებული მონასტერი, სადაც ერთ-ერთი უძველესი ქართული მოზაიკური წარწერაა აღმოჩენილი, რომელიც დღესდღეობით იერუსალიმის ფრანცისკანელთა საყდრის მუზეუმშია დაცული. ეს ტერიტორიაც ამ ეკლესიის კუთვნილებაა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო ამ ეკლესიის მესვეურთ, ვინც გვერდში დაგვიდგა და სამუშაოთა ჩატარების ნება დაგვრთო.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ იერუსალიმში ქართველებს დაახლოებით 25-27 მონასტერი გვქონდა ადრეულ საუკუნეებში, მაგრამ ბოლო 300 წელია, იქ საქართველოს აღარაფერი გაჩნია. ამიტომაც მეტად მნიშვნელოვანი იყო, რომ იერუსალიმში ოფიციალურად დაგვეწყო საქმიანობა, მოგვეპოვებინა ნდობა და დაგვემტკიცებინა, რომ საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტო არის ერთადერთი ინსტიტუცია, რომელსაც მისი პოპულარიზაციის, ასევე კონსერვაციაშენახვის ინტერესები აქვს. ჩვენი აზომვების იდეა ისაა, რომ იმ ტერიტორიაზე გათხრები ბოლომდე მივიყვანოთ და იქ ქართული სავანე შევქმნათ, სადაც მომლოცველი, ანდა უბრალო ვიზიტორი ჩავა და წინაპართა სამოღვაწეო საასპარეზოს დაათვალიერებს. ყველაფერი, ცხადია, პირველ ყოვლისა, ფრანცისკანელთა ეკლესიასთან ერთად.

**ამ ეტაპზე ჩვენ ერთ-ერთ ბრიტანელ ექსპერტს ვეძებთ, ოღონდ ეს ადამიანი ინგლისურ ენაზე ლაპარაკობს, ამ ენაზე ვაწარმოებ ინტერვიუ, ამ ენაზე ვაფორმებ ანგარიშებს, ამ ენაზე ვაფორმებ ანგარიშებს, ამ ენაზე ... ეს ადამიანი ... ეს ... ეს ... ეს

ქორწილი. 1931 წლის აპრილი

„ყველა გზას ადამიანებამდე მივყავართ“,

– ასე ამბობდა ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი



ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა **გურამ გოგიაშვილმა**

„პატარა უფლისწული“

– მოდი, მეთამაშე, – სთხოვა პატარა უფლისწულმა, – ძალიან მოწყენილი ვარ.

– ვერა ვერ გეთამაშები, – უთხრა მელიამ. – დახელისთავებული არა ვარ, ხელზე მოჩვეული.

– აჰ, მაპატიე, – უთხრა პატარა უფლისწულმა.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი ჰკითხა:

– რა არის ეგ დახელისთავება თუ ხელზე მოჩვევა?

– ჩვენებური არა ჩანხარ, – თქვა მელიამ, – აქ რას დაეძებ?

– ადამიანებს დავეძებ, – თქვა პატარა უფლისწულმა. – რა არის ეგ დახელისთავება თუ ხელზე მოჩვევა?

– ადამიანებს აქვთ თოფები და სანადიროდ დადიან. ეს ძალზე უხერხული რამ არის, თანაც, კიდევ ქათმები ჰყავთ ბლომად. ამიტომაც მეძვირფასებიან. შენ რა, ქათმებს ეძებ?

– არა, – უთხრა პატარა უფლისწულმა, – მეგობრებს დავეძებ. რა არის ეგ დახელისთავება თუ ხელზე მოჩვევა?

– ეს დიდი ხნის წინათ მივიწყებული რამ არის, გინდა ცნება თქვი, – აუხსნა მელიამ, – კავშირურთიერთობას ნიშნავს.

– კავშირურთიერთობას?

– სწორედაც, – უთხრა მელიამ. – შენ ჩემთვის ერთი პატარა ბიჭუნა ხარ, ზუსტად ისეთი, როგორიც ასი ათასი სხვა პატარა ბიჭუნა. ამიტომ სულაც არ მჭირდები. მართალი თუ გინდა, არც მე გჭირდები. მე შენთვის მხოლოდ მელია ვარ, ზუსტად ისეთი, როგორიც ასი ათასი სხვა მელიაა. მაგრამ თუ დამიხელისთავებ, ხელზე მიმიჩვევ, ანუ გამიშინაურებ, მომითვინიერებ, ეგრევე ერთმანეთისთვის საჭირონი გავხდებით. შენ ჩემთვის მთელ ქვეყნიერებაზე ერთადერთი იქნები. მეც ერთი ვიქნები შენთვის ქვეყნიერებაზე...

* * *

დედამიწაზე რაღა არა ხდება! არა, ეს დედამიწაზე არ მომხდარა, – თქვა უფლისწულმა.

მელია სახტად დარჩა.

– სხვა პლანეტაზე?

– ჰო.

– დიდად საგულისყუროა! იქ არც ქათმები არიან?

– არა.

– მსოფლიოში სრულყოფილებას ტყუილად ვეძებთ! – ამოიოხრა მელიამ.

მაგრამ მერე ისევ პირველ აზრზე ალაპარაკდა.

– ნამეტნავად მოსაწყენია ცხოვრება. მე ქათმებზე ვნადირობ, ადამიანები კი ჩემზე ნადირობენ. სუყველა ქათამი ერთნაირია. ადამიანებიც ერთნაირები არიან, მართალი გითხრა, გავბრაზდი მე და ჩემმა მზემ. ოღონდ თუ დამიხელისთავებ, ხელზე მიმიჩვევ, მომითვინიერებ, ჩემს ცხოვრებას სწორედაც რომ ცხრათვალა მზე გააბრწყინებს... შენს ფეხის ხმას სხვა ათას ხმაში გამოვარჩევ. როგორც კი ადამიანის ფეხის ხმას გავიგონებ, მუდამ გავრბივარ და ვიმალები. შენი ნაბიჯის ხმა კი მუსიკასავით გამომიხმობს ჩემი ბნელი სოროდან. მერე ნახე, რა მელიაც ვიქნები!

* * *

– გაგებგა მხოლოდ იმისი შეიძლება, რასაც დაიხელთავებ, ხელზე მიიჩვევ, – თქვა მელიამ, – ადამიანებს უკვე დრო აღარ ჰყოფნით რისამე გასაგებად. ისინი მზა ნივთებს მაღაზიებში ყიდულობენ. ბევრიც რომ ეძებო, ვერსად ვერ ნახავ ისეთ მაღაზიას, სადაც მეგობრებით ვაჭრობდნენ. ამიტომაც არის, რომ ადამიანებს მეგობრები აღარა ჰყვანან! თუ მეგობრის ყოლა გინდა, მომიშინაურე.

– მერედა, რა არის მაგისთვის საჭირო? – დაეკითხა პატარა უფლისწული.

– უწინარესად მოთმინება უნდა იქონიო, – მიუგო მელიამ. – პირველად აგერ იქ, შორიახლოს დაჯექი, ბალახზე, – აი, ეგრე.

* * *

უმჯობესი იქნება, თუ ყოველთვის ერთსა და იმავე საათზე მოხვალ, – ურჩია მელიამ, – აი, მაგალითად, თუ ოთხ საათზე მოხვალ ხოლმე, უკვე სამი საათიდან თავს ბედნიერად ვიგრძნობ. ოთხ საათზე უკვე მღელვარება და მოუსვენრობა დამეწყება. ბედნიერების ფასს ვიგებ! მაგრამ თუ ყოველთვის სხვადასხვა დროს მოხვალ, არ მეცოდინება, რომელი საათისთვის უნდა მოვამზადო ჩემი გული... საჭიროა წეს-ჩვეულების დაცვა.

* * *

სწორედ წეს-ჩვეულებისდა გამოა, რომ ერთი რომელიმე დღე არაფრით არ ჰგავს დანარჩენ დღეებს, ერთი რომელიმე საათი დანარჩენ საათებს. აი, მაგალითად, ჩვენ მონადირეებს ასეთი წეს-ჩვეულება აქვთ: ხუთშაბათობით ჩვენს სოფლელ გოგოებს ეცეკვებიან, მართლა საოცარი რამ დღეა ეს ხუთშაბათი! ჩემს ჭკუაზე დავდივარ არიარეზე და თვით ვენახამდე მივდივარ ხოლმე! მაგრამ მონადირეები სულ რომ ცეკვავდნენ ანდა როცა მოეპრიანებათ, მაშინ ერთ დღეს მეორისგან ვეღარ გავარჩევდი, სუყველა ერთნაირად იქნებოდა და ჩემებურად ვეღარ ვიარხეინებდი.

* * *

იქ მუდამ კარგია, სადაც ჩვენ არა ვართ.

* * *

ზოგჯერ ისე დაბნეულნი ვართ... შეიძლება ყველაფერი რომ მოხდეს...

* * *

მთელი სამყარო სულ სხვანაირი ხდება ჩვენს თვალში. იმის გამო, რომ სადღაც, სამყაროს ერთ-ერთ მივარდნილ კუთხე-კუნჭულში ჩვენმა უნახავმა თვალდაუკვრელმა ბატკანმა ვაითუ ნეკრად მიირთვა ჩვენი უცნობი ვარდი.

* * *

ახედეთ ცას და ჰკითხეთ საკუთარ თავს: „ცოცხალია ის ვარდი, თუ უკვე აღარ არის? ხომ არ შეჭამა ის საწყალი ბატკანმა?!“ და ნახავთ, რომ ყველაფერი სულ სხვანაირი გახდება.

* * *

მომიშინაურე, შემიკვეთე... გენაცვალე!

* * *

ეჰ, ბიჭუნი, ბიჭუნი, როგორ მიყვარს, როცა იცინი!..

სიყვარული

ლაღად, მთელი მკერდით მხოლოდ მაშინ ვსუნთქავთ, როცა დაკავშირებული ვართ ჩვენს ახლობლებთან, და ყველას ერთად საერთო მიზანი გვაქვს და გამოცდილებით ვიცით, რომ სიყვარული სულაც არ ნიშნავს ერთმანეთის ცქერას, სიყვარული ნიშნავს ყველას ერთად ყურებას ერთი მიმართულებით.

* * *

უპეთუ ბრიყვი ლექსს წაიკითხავს, პოეტი ჰგონიათ. სჯერათ, რომ იმას ძველი დააფრაკებული პარკეტი მოსწონს, სჯერათ, რომ ის იმას მანგუსტები უყვარან. სჯერათ, რომ მაგიდის ქვეშ ფეხებში გველი რომ ებლანდება, იმისი ნდობა სიამოვნებს და თვითონაც თავიანთ გულსა სძღვნიან – ველურ ბაღს, იმას კი მხოლოდ გაკრეჭილი გაზონები მოსდის თვალში.

* * *

სასწაული ის კი არ არის, რომ სახლი გვიფარავს და გვათბობს, რომ ეს კედლები ჩვენია. სასწაული ის არის, რომ ის ჩვენდა შეუმჩნევლად არ გვილევს სინაზის მარაგს, – და გულში, შიგნიშიგან, სიღრმეში, უცნობ ფენებს გვიქმნის, სადაც ზუსტად ისე, ვით წყაროს წყალი, ოცნებები იბადებიან...

* * *

სევდა, კაეშანი ის არის, როცა რაღაცა გსურს და თავად არ იცი, რა... მაგრამ ის არსებობს, შეუცნობელი და საწუკვარი, ოღონდ სიტყვებით ვერ გამოხატავ.

* * *

ერთხელაც დადგება ის დღე, როცა სუყოველ ქალიშვილში ქალი გაიფურჩქნება... და მაშინ, საიდან სადაო, გაჩნდება ვინმე ბრიყვი და ახლად გაფურჩქნილი ქალის უცვლელად გამჭრიახი მზერა პირველად ტყუვდება, იმ ბრიყვს ვარდისფერ შუქში ხედავს.

* * *

სიშორე მანძილით არ იზომება.

* * *

ვისაც კარგა ხანს მოუხდა ცხოვრება ყოვლისშთანმთქმელ სიყვარულში, მერე კი დაკარგა, საშინლად იღლება თავისი კეთილშობილური მარტოობით.

* * *

ხან ჩნდება ურთიერთობით ის სიმაღლე, როცა მადლიერებასა და სიბრალულს უკვე აზრი აღარა აქვთ და იმ სიმაღლეს მიღწეული ლაღად და მხიარულად სუნთქავ როგორც რომ ციხის კედლებიდან გამოსული ტუსაღი.

* * *

ეჰ, რარიგ გვაშორებს ერთმანეთს ჩვენი შინაგანი სამყარო! ჩემსა და იმ გოგონას შუა იმისივე ოცნებებია ჩამდგარი – ნეტავი მაცოდინა, როგორ ვძლიო ეს ზღუდე?

* * *

თუ უძილობა მუსიკოსს მშვენიერ ქმნილებებს აშობინებს, – მაშინ ეს მშვენიერი უძილობა ყოფილა!

* * *

სირცხვილის მსგავსმა გრძნობამ აიძულა ნელრენი, რომ ეკითხა:

– თქვენ რა, გეოლოგია გაგულისყურებთ?

– ეგ ჩემი გატაცებაა.

– დედამიწის ზურგზე იმას მხოლოდ ქვები ეფაფუკებოდნენ.

* * *

ის თვითონ იყო დამფრთხალი, მაგრამ თავხელმარტოს არ შეეძლო ტანჯვა და უნდოდა, რომ იმ ქალსაც განეცადა შიში. როცა ის იტანჯებოდა, მთელი სამყარო უნდა დატანჯულიყო იმასთან ერთად.

* * *

ის კიდევ იმასაც მეუბნებოდა, შენ შენს ტან-სხეულში ბინადრობო, ვითარცა ნიმფა წყალქვეშ, და მან ათასი რამ ჯადოსნური ხერხი იცის, რომელთაც შენი ზედაპირზე გამოხმობა შეუძლიათო, და იმათ შორის ყოვლის უფრო ერთგულს შენი ატირება ძალუძსო. ასე გპარავდით ჩვენ სიყვარულს.

* * *

ქალმა მადლიერმა დაადო კაცს ხელი მხარზე: „თქვენ ჩემი ყოვლისყოვლის უფრო საყვარელი ხართ... და ეს მართალი იყო, ოღონდ ეს სიტყვები ამასთანავე ნიშნავდნენ, რომ ისინი ერთმანეთისთვის არ იყვნენ შექმნილნი.

* * *

ის ბუნდოვანმა ბედნიერებამ აღავსო, მაგრამ სულაც იმის მსგავსი არ ყოფილა, რაზეც ის ოცნებობდა. ოცნებები? ყოველთვის სულ იმათი განახლება უხდებოდა და სუყოველ ჯერზე ისინი დამაჯერებლობის იმ პატარა ნაწილს კარგავდნენ, რომელსა შიგან ხორცშესხმისა და სინამდვილედ ქცევის საშუალება ბუუტავდა.

(გაგრძელება მორიგ ნომერში)



1936 წ. ავარია ლიბიის უდაბნოში

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №15-17

პროფესორი ნიკოლოზ ხომიზურაშვილი 120

დიდი მეცნიერი და მამულიშვილი

2020 წლის 29 იანვარს გაიმართა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა, სადაც პატივი მიაგეს აკადემიკოს ნიკოლოზ ხომიზურაშვილის ნათელ ხსოვნას.

წლეულს დაბადებიდან 120 წელი შეუსრულდებოდა საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ერთ-ერთ დამფუძნებელს, აკადემიის ვიცე-პრეზიდენტს, აკადემიკოსს, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორს, პროფესორ ნიკოლოზ ხომიზურაშვილს.

ნ. ხომიზურაშვილი დაიბადა 1900 წლის 24 იანვარს კახეთის ულამაზეს ქალაქ თელავში, 1919 წელს დაამთავრა თელავის ვაჟთა გიმნაზია, ხოლო 1925 წელს პირველი ხარისხის დიპლომით — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიული ფაკულტეტი. გამორჩეული ახალგაზრდა კათედრაზე დატოვეს ასისტენტად და როგორც პერსპექტიული სპეციალისტი, გერმანიაში მიავლინეს ცოდნის გასაღრმავებლად, სადაც 3 წელი დაჰყო და მუშაობდა საუკეთესო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებსა და სასელექციო სადგურებში. საკითხების გასაცნობად, გერმანელი მეცნიერების კეთილი ნებითა და ხარჯებით გაეცნო საფრანგეთის, ბელგიის, იტალიის, ჰოლანდიის და დანიის გენეტიკისა და სელექციის სადგურებს.

1927 წელს ნ. ხომიზურაშვილმა გერმანულ ენაზე გამოაქვეყნა თავისი პირველი მეცნიერული ნაშრომი „ციტოლოგიური კვლევა რუბუსის პოლიპლოიდებზე“, მეორე შრომა კი მიუძღვნა ბლის ზოგიერთი ჯიშის სტერილობის მოვლენის შესწავლას. ამ შრომებმა მას დიდი პოპულარობა მოუტანა. 1928 წელს აირჩიეს საფრანგეთის მეხილეობის ეროვნული საზოგადოების წევრად. 1928 წლის დამლევს, სამშობლოში დაბრუნებამდე, ხელმძღვანელმა მეცნიერებმა შესთავაზეს გერმანიაში დარჩენა, აგრეთვე სხვადასხვა სამუშაო ადგილი, მაგრამ ვერ დაითანხმეს — ის სამშობლოში დაბრუნდა.

იგი გახლდათ საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის კათედრის გამგე და დეკანი, შემდეგ — საქართველოს მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი. მუშაობის პერიოდში მისი ინიციატივით ინსტიტუტის ბაზაზე შეიქმნა მებაღეობა-მევენახეობის უნიკალური მუზეუმი, აღწერილი ჰქონდა საქართველოში კულტივირებული ხეხილის ჯიშების სახეობები და მათი კლასიფიკაცია; აკად. ნ. ხომიზურაშვილის კალამს ეკუთვნის მრავალი სამეცნიერო ნაშრომები, მათ შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია საქართველოს ხილის ატლასი, მეხილეობის სახელმძღვანელოები და „მეხილეობის“ 2 ტომი. დიდი ღვაწლი მიუძღვის „საქართველოს მეხილეობის“ ოთხტომეულის გამოცემაში. მისი ხელმძღვანელობით საქართველოში დაინერგა ნაგალა ხეხილი.

იგი საქართველოში სამრეწველო მეხილეობის ერთ-ერთი ფუძემდებელი იყო. მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორად მუშაობის დროს დაამუშავა საყვავილე კვირტების ჩასახვა-განვითარების თეორია, შეისწავლა და იკვლევდა ხეხილის ზოგიერთი ჯიშის ციტოემბრიოლოგიას და ციტოგენეტიკის საკითხებს. ინსტიტუტის ბაზაზე შექმნა უნიკალური სამეცნიერო მუზეუმი. მის მიერაა აღწერილი ლეღვის ახალი სახეობები და მათი კლასიფიკაცია.

აღსანიშნავია, რომ 1961 წელს, როცა საბჭოთა კავშირის ცეკას პირველი მდივანი ნიკიტა ხრუშჩოვი ეწვია საქართველოს, მან რესპუბლიკის აქტივის კრებაზე წამოაყენა წინადადება, რომ საქართველოში, კახეთის ვაკეებზე, ვაზი გაეჩეხათ და მის ადგილას „მინდვრის დედოფალი“ — სიმინდი დაეთესათ. ერთადერთი ადამიანი, რომელიც შეეწინააღმდეგა ამ წინადადებას, ბატონი ნიკოლოზი იყო — მან ხრუშჩოვს ხავერდის ყუთში ლამაზად ჩალაგებული ყურძნის ნიმუშები მაგიდაზე დაუდო და დაუსაბუთა, რომ მისი აზრი მცდარი იყო. მისი გამოსვლა იმდენად დამაჯერებელი იყო, რომ საბოლოო სიტყვაში ნ. ხრუშჩოვმა თქვა: „...შეიძლება, პროფესორი მართალიც არისო“. ამით ვაზის გაჩეხვის და სიმინდის თესვის საკითხი იქვე მოიხსნა. სტუმარმა ბატონ ნიკოლოზს დიდი მადლობა გადაუხადა და „ცეკას“ მდივან ვასილ მჟავანაძეს კი უთხრა, „ამ პროფესორის სიტყვები კარგად დაიმახსოვრეთო“.

სტუმარი წავიდა, აქტივის სხდომა დამთავრდა და მონაწილენი მისცვივდნენ ბატონ ნიკოლოზს: „როგორ გაბედე ასეთი საპროტესტო სიტყვით გამოსვლა, როგორ არ შეგეშინდაო“. მან კი უპასუხა — „რა დროს შიში იყო, საქართველო იღუპებოდაო“.

რამდენიმე თვის შემდეგ, კრემლის მითითებით, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია, რომლის ვიცე-პრეზიდენტი აკად. ნ. ხომიზურაშვილი იყო, გაუქმდა. მან სიმწრით ჩაიცინა და თქვა: „ცხენს ვერაფერი დააკლეს და უნაგირს დაუწყეს მტვრევაო“.

აკად. ნ. ხომიზურაშვილი დაჯილდოებული იყო მრავალი ორდენითა და მედლით, საერთაშორისო გამოფენების საპატიო მედლებით, ხოლო 1966 წელს ბატონი ნიკოლოზის უმწიკვლო მეცნიერული, პედაგოგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეობა ღირსეულად დაფასდა — შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა.

პროფესორი ნ. ხომიზურაშვილი გარდაიცვალა 1971 წელს. დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

დღეს საქართველოს და არა მარტო საქართველოს, არამედ მსოფლიოს ყველა აგრარიკოსი მეცნიერი, რომლებიც იცნობდნენ პროფესორ ნიკოლოზ ხომიზურაშვილს და ისინიც, რომლებიც მხოლოდ გადმოცემით ან სამეცნიერო შრომებით იცნობენ, უდიდეს პატივს მიაგებენ ამ პატრიოტი ადამიანის ნათელ ხსოვნას.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემია

ვიდრე გავქრებით, დაგვაფასეთ!

„პრადვინუტებო!!! ცინიკოსებო!!! ერთი ეს კარგად წაიკითხეთ, თქვე უდღეურებო! შვილმა ერთხელ ჰკითხა თავის მამას:

„როგორ ცხოვრობდით ადრე ტექნოლოგიებთან წვდომის გარეშე: ინტერნეტის გარეშე, კომპიუტერების გარეშე, ტელევიზორების გარეშე, კონდიციონერების გარეშე, მობილური ტელეფონების გარეშე?“

მამამ უპასუხა: **„ზუსტად ისე, როგორც დღეს თქვენი თაობა ცხოვრობს: ლოცვის გარეშე, თანაგრძნობის გარეშე, ღირსების გარეშე, პატივისცემის გარეშე, სირცხვილის გრძნობის გარეშე, თავმდაბლობის გარეშე, წიგნის კითხვის გარეშე. ჩვენ — ადამიანები, რომლებიც დავიბადეთ 1945-1985 წლებს შორის, ვართ დალოცვილნი. ჩვენი ცხოვრება ამისი ცოცხალი მაგალითია: თამაშის და ველოსიპედზე ჯდომის დროს ჩვენ არ ვატარებდით ჩაფხუტებს. ჩვენ არ გვეშინოდა, მარტო გვევლო სკოლაში სწავლის პირველივე დღიდან. სკოლის შემდეგ ჩვენ მზის ჩასვლამდე ვთამაშობდით. ჩვენ არასოდეს ვუყურებდით ტელევიზორს შუადღემდე. ჩვენ ვთამაშობდით ნამდვილ მეგობრებთან და არა ვირტუალურ მეგობრებთან ინტერნეტიდან. თუკი ჩვენ მოგვწყურდებოდა, ჩვენ ვსვამდით ონკანის წყალს და არა ბოთლის წყალს. ჩვენ ცოტას ავადვმყოფობდით, თუმცა ადრე ოთხ მეგობართან ერთად ვიყოფდით ერთ ჭიქა წვენს. ჩვენი მშობლები გვკურნავდნენ სამამულო წარმოების კაპიკებიანი საშუალებებით ან ხალხური მედიცინის დახმარებით. ჩვენ არასდროს ვიმატებდით წონაში, თუმცა ვჭამდით ბევრ პურს და კარტოფილს ყოველდღე. ჩვენ მივეჩვიეთ, შეგვექმნა ჩვენი სათამაშოები და მათით გვეთამაშა. ჩვენ ვუწილადებდით ერთმანეთს სათამაშოებს და წიგნებს. სკოლის სახელმძღვანელოებს უფროსკლასელები უსასყიდლოდ გვაძლევდნენ და ერთი წლის მერე ასევე უსასყიდლოდ ვჩუქნიდით ჩვენს მომდევნო თაობას და ამით ცოდნის დონე არანაირად არ იკლებდა. ჩვენი მშობლები არ იყვნენ მდიდრები. ისინი გვჩუქნიდნენ სიყვარულს, გვასწავლეს, დაგვეფასებინა სულიერი და არა მატერიალური, მოგვცეს ნამდვილი ადამიანური ფასეულობების — პატიოსნების, ერთგულების, პატივისცემის, შრომისმოყვარეობის გაგება.**

ჩვენ არასოდეს გვქონია: მობილური ტელეფონი, დივიდი, ფლეისთეიშენი, იქსბოქსი, ვიდეოთამაშები, პერსონალური კომპიუტერი, ინტერნეტ-ჩათი. სამაგიეროდ, ჩვენ გვყავდნენ ნამდვილი მეგობრები! ჩვენ მივდიოდით სტუმრად მეგობართან დაუპატიჟებლად, ჩვენ გვიმასპინძლდებოდნენ უბრალო, მოკრძალებული საჭმლით. ჩვენი მოგონებები შავ-თეთრ ფოტოებზე იყო აღბეჭდილი, მაგრამ ისინი მაინც ნათელი და ფერადი იყო, ჩვენ სიამოვნებით ვფურცლავდით ოჯახურ ფოტოალბომებს და კრძალვით ვინახავდით ჩვენი წინაპრების პორტრეტებს.

ჩვენ არ ვყრიდით ნაგავში წიგნებს, არამედ რიგებში ვიდექით მათ შესაძენად და შემდეგ ხარბად, გაუჩერებლად ვკითხულობდით. ჩვენ არ გამოგვქონდა ჩვენი ცხოვრება უცხოების განხილვაზე და არ განვიხილავდით ისეთი კმაყოფილებით სხვების ცხოვრებას, როგორითაც ამას თქვენ აკეთებთ — გამოფინოთ საკუთარი ცხოვრება საჩვენებლად ინსტაგრამზე, განიხილოთ სახალხოდ მასმედიასივრცეში საკუთარი ოჯახური საიდუმლოებები. ჩვენ უნიკალური და ყველაზე მეტად გამგები თაობა ვართ, რადგან, ჩვენ ვართ ბოლო თაობა, რომელიც მშობლებს უსმენდა და უჯერებდა, ამას გარდა, ჩვენ ვართ პირველნი, რომლებსაც საკუთარი შვილებისთვის უნდა მოგვესმინა და დაგვეჯერებინა.

და ჩვენ ვართ ისინი, რომლებიც ჯერ კიდევ თქვენზე გონიერია და გეხმარებათ თქვენ.

ჩვენ შეზღუდული გამოცემა ვართ. დატკბით ჩვენით! ისწავლეთ ჩვენგან! დაგვაფასეთ ჩვენ მანამდე, ვიდრე გავქრებით...

დავით ოქიტაშვილი,
საქართველოს კულტურის პალატის პრეზიდენტი.
(ფეისბუქიდან)

გვეშველება რამე?..

საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებას მეზობლის თვალით რომ აკვირდებოდე და მისი ყოველდღიურობა შენზე არ მოქმედებდეს, არც გული შეგიღონდებოდა არსებული მდგომარეობის გამო და არც თავსატეხად გექცეოდა ხალხში მოარული „პოპულარული“ შეკითხვა – „გვეშველება რამე“?

შორიდან მაყურებელი და არა გულშემატკივარი, ხარხარით თუ არა, ღიმილით შეხედავდა იმ „საოცრებას“, რასაც აქ აქვს ადგილი – სუვერენულ, დამოუკიდებელ, თავისუფალ ქვეყანაში, რამეთუ 30 წლის წინათ ნაბოძები სუვერენიტეტი, დამოუკიდებლობა და თავისუფლება ისე შორსაა ამ სიტყვების მნიშვნელობისა და შინაარსისგან, როგორც საქართველო რუსეთისგან – ცხადია, პოლიტიკა მაქვს მხედველობაში, თორემ სავაჭრო-ეკონომიკური კავშირები სხვაზე მეტყველებს და კიდევ კარგი ასეა, წინააღმდეგ შემთხვევაში შავ დღეში ვიქნებოდით.

ზემონახსენები ის სამი სიტყვაც მეეჭვება, გვქონოდა, „ავადსახსენებელ“ რუსეთს რომ არ მოეცა 1991 წლის დეკემბერში. რუსეთი ესოდენ „გულკეთილად“ არა მარტო ჩვენს მიმართ მოიქცა, არამედ საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების მიმართაც, რომლებმაც „დიდი ძმის“ ხელგაშლილობა მადლიერებით არ შეაფასეს და ნაცვლად ამისა საკუთარ თავს მიაწერეს სხვის მიერ ნაბოძები დამოუკიდებლობა.

უმადურობა კარგა ხანს გაჰყვა ყოფილ საბჭოელებს, მაგრამ დამოუკიდებლად არსებობის სიძნელეებმა, ცხოვრებისეულმა ვითარებამ, რეალობის მიუკერძოებელმა განსჯამ აიძულა ისინი, სიზმრებიდან გამოფხიზლებულიყვნენ და პრაგმატული კავშირები დაემყარებინათ რუსეთთან. საქართველომ იმჟამინდელი პოლიტიკოსების წყალობით ანტირუსული პოზიცია დაიჭირა, რასაც დაბეჯითებით აგრძელებს დღესაც.

დიდი ზრუნვა ყოფილი „უმცროსი ძმების“ მიმართ, არც „დიდ ძმას“ გამოუჩენია – თავის ქვეყანაში შექმნილი, ნაკლებად სახარბიელო პროცესების გამო, რომელთა უმრავლესობა დასავლელი პოლიტიკოს-ექსპერტობის მოხერხებული ხელის ფათურით შეიქმნა და ერთ დროს კაპიტალიზმის საწინააღმდეგო ძალის მქონე საბჭოთა კავშირის მემკვიდრე რუსეთი ლამის ჩამოწერილი, მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან გამქრალ სახელმწიფოდ გადაიქცა.

გიგანტური ფაბრიკა-ქარხნები, სამხედრო-სამრეწველო კომპლექსები, უმდიდრესი წიაღისეული საბადოები, ენერგეტიკის სფერო და სხვა მრავალი კოლექტიური დასავლეთის ბიზნესის გავლენის ქვეშ მოექცა.

გასული საუკუნის ოთხმოცდაათიანი წლების ბაკქჰანალია სრული გამოძახილი იყო აშშ-ის სახელმწიფო მდივნის მადლენ ოლბრაიტის ტვინში ჩაბეჭდილი მოსაზრებისა – რუსეთის სიმდიდრეები, მარტო რუსეთის კი არა, მთელი ცივილიზებული სამყაროს კუთვნილება უნდა იყოსო.

პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარების „სურვილით“ შეპყრობილი არაერთი ამერიკული სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაცია, პოლიტიკოსები თუ ექსპერტები ძალას არ იშურებდნენ რუსეთის დასაქუცმაცებლად. მათი მიზანი არ ყოფილა კრემლის მიერ ძველი კავშირების აღდგენა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებთან. პირიქით, მიზანი იყო მარტივი – რაც შეიძლება ღრმა უფსკრულის გაჩენა. მოგვიანებით, უკვე პუტინის მმართველობის დასაწყისში, როდესაც მოსკოვში გაჩნდა ძველი კავშირების აღდგენის სურვილი, აშშ სახელმწიფო მდივნის კლინტონის პირით განაცხადა, ამერიკა წინააღმდეგია ყოფილ საბჭოელებზე რუსეთის გავლენის გავრცელების.

და ეს იყო ნათქვამი არა იმიტომ, რომ რუსული გავლენისგან გათავისუფლებულებს თვით აერჩიათ თავიანთი განვითარების გზა, არამედ იმიტომ, რომ ამერიკას ისინი გამოეცხადებინა საკუთარი მიზნების ზონად.

ყოფილთათვის, დასაწყისში, ერთი „ბატონის“ მეორით ჩანაცვლება იოლი გამოდგა, მაგრამ დროთა ვითარებამ ნოსტალგია გაუჩინა მათ ძველისადმი, რასაც ხელი შეუწყო ახლის ქედმაღლობამ, თავაშვებულობამ, ბატონყმურმა დამოკიდებულებამ, მდიდარი ისტორიის, კულტურის, ადათ-წესების უგულებელყოფამ. ყოფილი საბჭოელები მიხვდნენ, რომ წამიერი ბედნიერების საღეჭ რეზინებზე გაცვლა სავალალო შედეგით დამთავრდება და ამერიკულ სურვილებს საკუთარი, ტრადიციული შეაგებეს, რასაც ამერიკული გავლენის შენელება, მოგვიანებით კი დამუხრუჭება მოჰყვა. მხოლოდ თითოოროლამ, მათ შორის საქართველომ ვერ გაუძლო ცდუნებას და თავფეხიანად გადაეშვა ამერიკულ „ლავ სტორიში“ („სიყვარულის ისტორიაში“).

აშშ-ს თუ სხვა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში არ გაუვიდა, გაუვიდა საქართველოში, ცხადია ქართველების ხელით, იმ ახალგაზრდა გოგო-ბიჭების, რომლებიც ყოველივე ამერიკულს წარმატებით დაეუფლნენ, „დემოკრატიისა“ და ადამიანის უფლებების დამცველ ამერიკაში.

აშშ-ის პოლიტიკა ხანმოკლე მანძილზეც არის გათვლილი და გრძელზეც. ის გულს არ იცრუებს დღევანდელი წარუმატებლობით, პირიქით, შესაბამისი დასკვნები გამოაქვს ხვალინდელი წარმატებისთვის და ამ ხანგრძლივ პროცესს მილიონობით დოლარს ახმარს. ქართველ ახალგაზრდებთან ერთად ამერიკულ „ტრენინგში“ სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ახალგაზრდებიც მონაწილეობდნენ, თუმცა სამშობლოში დაბრუნებულებს გაუჭირდათ არსებული ვითარების გარდაქმნა – „ფერად-ყვავილოვანი“ რევოლუციების ორგანიზება, რასაც ქართველ ახალგაზრდებზე ვერ ვიტყვით.

ქართველები საკუთარი ისტორიის, ტრადიციებისა და ცხოვრების წესების ამერიკულით შეცვლა-გადაფარვაში ნიჭიერი მოსწავლეები გამოდგნენ. სხვას ვერაფერს იტყვი განვლილი დროის შემხედვარე, რასაც ბედკრულ საქართველოში ჰქონდა და აქვს ადგილი. როდესაც ილიას უნივერსიტეტის ყოფილი რექტორი თევზაძე, რექტორობის ჟამს, ერს ეტყვის, რომ მშობლიური ენა ინგლისური უნდა იყოსო, უმალ დარწმუნდები ამერიკული იდეოლოგიური „ვარჯიშის“ ძალაში.

ამერიკული იდეოლოგიური სკოლებისა და კურსების დამთავრებულები ისე შეესივნენ ქართულ პოლიტიკას, ეკონომიკას, სახელმწიფო დაწესებულებებს, კერძო სექტორს, არასამთავრობო ორგანიზაციებს, როგორც ფაროსანა დასავლეთ საქართველოს ხილის ბაღებს. დაიწყო საზოგადოების ძალისმიერი ამერიკანიზაცია. შედეგი? დასავლეთისადმი მონური მორჩილება.

საქართველოს ყველა ხელისუფლება, შევარდნაძიდან დაწყებული, დღევანდელით დამთავრებული, მხოლოდ იმას აკეთებს, რაც ვაშინგტონს ან ბრიუსელს სურს. საკუთარი პოლიტიკის გატარების არც სურვილი და არც შესაძლებლობა აქვს. დაჩვეულია მხოლოდ სახელმწიფო სავარძლების დაკავებას, საკუთარი კეთილდღეობის მოწყობას, დასავლური მიზნების გატარებას.

არც ერთ ხელისუფლებას არ ჰქონია სახელმწიფოებრივი აზროვნება, სამოქალაქო პასუხისმგებლობა. არც დასავლეთს გასჩენია იმის სურვილი, რომ საქართველოს პოლიტიკურ ელიტას, საზოგადოებას ნაწილობრივ მაინც შეესრულებინა კონსტიტუციით განსაზღვრული უფლებები. მათ შორის სუვერენიტეტის, ვინაიდან სუვერენულობა დამოუკიდებელ აზროვნებას ნიშნავს, რაც ეწინააღმდეგება საქართველოსადმი ამერიკული მიზნების განხორციელებას.

ქვეყნის ყველა ხელისუფლების სურვილი იყო და არის ნატოში და ევროკავშირში შესვლა და რატომ? იმიტომ რომ, არც ერთს სურვილი არ გასჩენია, ემართა საკუთარი ქვეყანა. ყველა მათგანის სურვილი იყო და არის სხვისი, ანუ ნატოს მიერ ქვეყნის უსაფრთხოების დაცვა, ხოლო ევროკავშირის მიერ ეკონომიკის მართვა.

ერთი შეხედვით ამაში ცუდი არაფერია, მაგრამ ერთი შეხედვით. სინამდვილეში იქმნება ისეთი ვითარება, რასაც ბედოვლათობა, ზედაპირულობა, ზერელეობა, კორუფციონერობა, ნეპოტიზმი, არასახელმწიფოებრივი აზროვნება ჰქვია. ასეთი საქართველო არის აშშ-სთვის მისაღები და არა პატრიოტი, საკუთარი ქვეყნის მიზნების დამცველი და გამტარებელი.

რა მოგვცა მონურმა მორჩილებამ? ქვეყნის პოლიტიკური სისტემის სრული პარალიზება. როდესაც ვაშინგტონი ე.წ. დამოუკიდებელ ქვეყანას მინისტრებს უნიშნავს და ხელისუფლება, აშშ-ის ელჩის გარეშე ვერც ერთ საკითხს ვერ წყვეტს – პარალიზებაა და მეტი არაფერი; როდესაც ამერიკული ორგანიზაციები „ენ-დი-აი“ და „აი-რაი“ წინასწარ გათვლილი „გამოკითხვის“ შედეგებს თავხედურად ახვევს თავს საქართველოს საზოგადოებას – სხვა არაფერია, თუ არა ამერიკული ინტერესების გატარება.

აღნიშნულ ორგანიზაციებს არასდროს ჩაუტარებიათ ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ თუ სხვა საკითხებთან დაკავშირებით კვლევა, ხალხს რომ აგულისყურებს და არ გამოუმზეურებიათ მათი შეუსრულებლობის მიზეზები.

„ენ-დი-აის“ ბოლო გამოკითხვის მიხედვით, საქართველოს მოსახლეობის ლამის 80% ნატოსა და ევროკავშირში შესვლის მსურველია, რაც აშკარად ეწინააღმდეგება მოსახლეობის ნამდვილ დამოკიდებულებას ამ ორგანიზაციების მიმართ. განსაკუთრებით დღეს, როდესაც ერთსაც და მეორესაც ისეთი პრობლემები აქვთ, უარესს რომ მათი მტრებიც ვერ ინატრებდნენ.

პარტიებისა და პოლიტიკოსების რეიტინგები ხომ ზნეობის ყოველგვარ ზღვარს სცდება?! მათი მიხედვით, მმართველი „ოცნება“, ვითომ ყველაზე მეტპროცენტიანია, გაერთიანებულ ოპოზიციასთან შედარებით, სინამდვილეში კი ის აგებს არჩევნებს. გაერთიანებული ოპოზიცია – „ნაცები“, „ევროპული საქართველო“, „გირჩი“ და არა სხვა რომელიმე პარტია, ქმნის პროცენტულ უმრავლესობას, რაც დასაფიქრებელი უნდა იყოს იმ „პატრიოტული“ ძალებისთვის, ვინც „ოცნება“ გაყიდა და კოლექტიურ „ნაცებს“ მიეკედლა. ახლა მაინც მიხვდნენ – ვის საქმეს აკეთებენ ისინი!

გაერთიანებულმა ოპოზიციამ „ნაცებს“ მიჰგვარა დაკარგული რეიტინგი. და იძახოს ახლა საზოგადოებამ – „ნაცების“ ხელისუფლებაში დაბრუნება გამორიცხულია, ხალხი მათ ხმას არ მისცემსო. მაშ ვის მისცემს ხმას ხალხი? „ოცნებას“? ანუ „ნაცთა“ შიშით „ოცნებას“ – კიდევ რამდენიმე წლით, ვინაიდან სხვა მეტი პარტია არსად ჩანს და ვერც გამოჩნდება, ვინაიდან პოლიტიკური არენა მათ აქვთ დაპყრობილი. სწორედ ამერიკელთა წყალობით, ფაქტობრივად, შეიქმნა ორპარტიული სისტემა. ხალხის არჩევანი ცუდსა და უარესს შორის ხდება, რაც თავისთავად იწვევს ქვეყნის პოლიტიკური სისტემის დაცემას.

ვის აწყობს შექმნილი ვითარება? ცხადია, კოლექტიურ დასავლეთს, ვინაიდან მღვრიე წყალში ადვილია ანტირუსული ღლავების დაჭერა. ასე და ამრიგად, შეიკრა მოჯადოებული წრე, რომელიც ქვეყანას, ხალხს კარგს არაფერს უქადის, რასაც უქადის – გაუსაძლისობაა, ყველა ჩვენგანმა საკუთარ თავზე რომ ვიწვნიეთ.

გამოსავალი ერთშია, მას პოლიტიკური ვექტორის შეცვლა ჰქვია, რაც პროდასავლური ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ელიტის და მას მიტმასნილი საზოგადოების პირობებში თითქმის შეუძლებელია.

„ენ-დი-აის“ კვლევებს ემატება ჩვენთვის ნაცნობი ამერიკული გვარები – ერთობ დაახლოებულები „ნაცებთან“ და მის განშტოებებთან. მათი ლობირებით ამერიკელი კონგრესმენები ეპისტოლარულ შეტევას ახორციელებენ ხელისუფლებაზე; უწუნებენ მას შიდა და გარე პოლიტიკას; მოითხოვენ არჩევნების იმ სისტემით ჩატარებას, ოპოზიციას რომ სურს; ხელისუფლებას აბრალებენ რუსეთთან ჩახუტებას, ევროატლანტიკური ვექტორის ჩრდილოურზე შეცვლას. მოკლედ, ყოველივე იმას, რასაც ოპოზიცია სწამებს მმართველ „ოცნებას“.

აშშ-ის კონგრესმენთა წერილებში, ევროკავშირის პარლამენტართა გამოსვლებში ისეთი ნაცნობი ჰანგებია, ძნელია არ დაიჯერო, რომ ტექსტები თბილისშია დაწერილი. ევროატლანტიკურ შემოტევას აქაური ტელეკომპანიები, განსაკუთრებით „TV პირველი“, ისეთი „ანტიოცნებური“ გულმოდგინებით აშუქებს, თითქოს საყოველთაო კატასტროფაა და თუ ივანიშვილმა ყურადღება არ მიაქცია ამერიკელი „პარტნიორების“ მოწოდებებს, ვაშინგტონი დაგვაობლებს.

რას ნიშნავს ყურადღების მიქცევა? ოპოზიციის და „TV პირველის“ აზრით ივანიშვილის პოლიტიკური თამაშიდან გასვლას, „ოცნების“ მიერ პოზიციების დათმობას და ოპოზიციის – „ნაცურის“, ბოროტის, დამნაშავის და საზოგადოებისთვის მიუღებლის ხელისუფლებაში დაბრუნებას.



ახდება თუ არა „ოპოზიციური ოცნება“? – ძნელი გამოსაცნობია, მაგრამ ხელისუფლების მოქმედებამ, ოპოზიციის გულისნადები, რეალობად შეიძლება, აქციოს.

ჰამლეტ ჭიპაშვილი,
პოლიტოლოგი.

ამერიკის ახალი სანქციები რუსეთს

აშშ-ის ფინანსთა სამინისტრომ რუსეთის წინააღმდეგ უკრაინაში განვითარებული მოვლენებისთვის დაწესებული სანქციები გააფართოვა. სიაში 8 ადამიანი მოხვდა. მათ შორის არიან სევასტოპოლის გუბერნატორის მოვალეობის შემსრულებელი მიზაილ რაზმოჟაევი, ყირიმის პრემიერ-მინისტრი იური გოცანიუკი და სევასტოპოლის სენატორი ეკატერინა ალბატაევა. უკრაინის ტერიტორიის ყირიმის ანექსია რუსეთმა 2014 წლის 18 მარტს მოახდინა. ყირიმის ნახევარკუნძული დე ფაქტოდ შეიყვანეს ფედერაციის შემადგენლობაში როგორც ყირიმის ფედერალური ოლქი, რომელიც შედგება რუსეთის ფედერალური ორი ერთეულისგან – ყირიმის რესპუბლიკა და ქალაქი სევასტოპოლი. ანექსიას წინ უძღოდა ყირიმის ნახევარკუნძულზე რუსეთის შეიარაღებული ძალების ინტერვენცია და ოკუპაცია, რაც განხორციელდა მას შემდეგ, რაც 2014 წელს უკრაინაში მოხდა რევოლუცია. ხალხი აჯანყდა რუსეთის მიმართ ლოიალური პრეზიდენტის ვიქტორ იანუკოვიჩის და მისი პარტიის წინააღმდეგ.

იგორ დავიდოვი:
მე სტალინის შვილიშვილი ვარ!

სტალინის უკანონო შვილი ალექსანდრე და „ოფიციალური“ შვილები ვასილი და სვეტლანა

ისტორიკოსი ვ. კობრინი 90-იანი **წლების დასაწყისში წერდა: „მნიშვნელოვანია საბჭოთა აპარატის ჰორიზონტული გენიალოგიის, თავისებური „დინასტიური ქორწინებების“ შესწავლა. მაგრამ არათუ სამეცნიერო შესწავლა არ მომხდარა, არამედ პირველადი მასალაც არ შეგროვილა...“**

ამ „გვალვის“ პირობებში სწორედ რომ საინტერესო იყო მ. ოლენევის ინტერნეტ-სტატია 2002 წელს **„საბჭოთა პარტელიტის გენეალოგია 20-30-იან წლებში“**. ამ მასალიდან ამონაკრების (ჩემეული „გამდიდრებით“) ქვემოთ მოვიტან იმის საილუსტრაციოდ, რომ მასში ბევრი რამ არის მოულოდნელი და „განსაცვიფრებელი“.

მაგალითად ბერიას გენეალოგიაში შეყვანილია **ეთერ ლავრენტის ასული გეგეჭკორი**. იგი სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმის წევრის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის, საბჭოთა კავშირის მარშლის ლავრენტი პავლეს ძე ბერიას უკანონო ქალიშვილი იყო. მისი დედა გახლდათ **ლიალია დროზდოვა,** რომელიც ჯერ კიდევ მოსწავლე, 16 წლისა მხურვალედ შეუყვარდა უშიშროების მრისხანე შეფს. მის საბრალდებო დასკვნაში ეს ქალი ფიგურირებს, როგორც ბერიას გარყვნილების მსხვერპლი და, ფაქტობრივად, მასზეა დაფუძნებული იმ კაცის მთელი საარაკო მექალთანეობის ლეგენდა.

სერგო ბერია თავის წიგნში „მამაჩემი — ლავრენტი ბერია“ იგონებდა:

„უკვე მოზრდილი ვიყავი, ერთ დღეს მამა თავისთან მეძახის: „მინდა, იცოდე — მე ქალიშვილი მყავს, პატარა ადამიანი, რომელიც ჩემთვის სულ ერთი არ არის, მინდა, რომ შენ ეს იცოდე. ცხოვრებაში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და ყოველთვის გახსოვდეს, რომ შენ ახლა გყავს და“.

დედა ისე გარდაიცვალა, რომ არაფერი შეუტყვია. მე ლიალია ვნახე. მაშინ 20 წლისა იქნებოდა, საკმაოდ მოკრძალებული ახალგაზრდა ქალი. მისი ცხოვრება ვერ აეწყო. გათხოვდა, მეორე შვილი შეეძინა. ქმარი დაეღუპა. კიდევ გათხოვდა (ლ. დროზდოვა 90-იან წლებში გარდაიცვალა — ა.ა.).

ჩემი და გათხოვილი იყო პოლიტბიუროს წევრის, მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივნის ვიქტორ გრიშინის ვაჟზე. როცა გრიშინმა შეიტყო, რომ მისი ვაჟი ბერიას ქალიშვილს ირთავდა, ბრეჟნევთან მოთათბირება გადაწყვიტა. როგორც ვიცი, ბრეჟნევმა უთხრა — კარგი, მაგრამ რა დამოკიდებულება აქვს ამას შენს შვილთან? რა ისეთ სახეს იღებ, თითქოს, არ იცოდე ყველაფერი ეს რომ გაბერილი საქმეა“...

როგორც ვიცი, დღეს აღარც ეთერ გეგეჭკორია ცოცხალი, ოღონდ სიმართლემ იზეიმა და მ. ოლენევის „გენეალოგიაში“ ის „ჩაჯდა“ როგორც ბერიას ქალიშვილი.

მაგრამ ამ „გენეალოგიაში“ ვერ მოხვდა (ვერც მოხვდებოდა, რადგან აღიარება მისი გამოქვეყნებიდან რამდენიმე წლის შემდეგ მოხდა). ი.ბ. სტალინის მეოთხე შვილი **ალექსანდრე დავიდოვი:**

ცნობილია, რომ საბჭოთა ხალხის ბელადს, გენერალისიმუს იოსებ ბესარიონის ძე სტალინს — ჯუღაშვილს სამი შვილი ჰყავდა: იაკობ ჯუღაშვილი (1907-1941), დაიბადა ქუთაისის გუბერნიის სოფელ ბაჯში. საარტილერიო ბატარეის მე-14 საარტილერიო პოლკის უფროსი ლეიტენანტი დაიღუპა (არის ვერსია, რომ ტყვედ ჩავარდა) ვიტებსკთან 1941 წლის 16 ივლისს, პირველი ცოლისგან ეკატერინე სვანიძისგან (1885-1907); **ვასილი სტალინი** (1921-1962), ავიაციის გენერალ-ლეიტენანტი, სამხედრო საჰაერო ძალების მოსკოვის სამხედრო ოლქის სარდალი და **სვეტლანა ალილუევა** (1926-2011), ორივე მეორე ცოლის ნადეჟდა ალილუევასგან (1901-1932)...

ჰოდა, საიდან ეს ალექსანდრე დავიდოვი?

სტალინის უკანონო ქორწინების გარეშე შვილების შესახებ უკანასკნელი 25 წლის მანძილზე ბევრს წერდნენ და ლაპარაკობდნენ. ყველაფერი ეს 1990-იანი წლებიდან დაიწყო, გამოჩნდა ფსევდოდოკუმენტური წიგნები და სტატიები.

2007 წელს დიდ ბრიტანეთში გამოქვეყნდა ჟურნალისტისა და ისტორიკოსის **საიმონ სებაგა მონტეფიორეს** წიგნი **„ახალგაზრდა სტალინი“** (ქართულადაც ითარგმნა). ის წერდა: **„სტალინის კიდევ ერთი უღიარებელი შვილის დედა — 13 წლის ლიდია პერეპრიგინა, რომელთანაც ცხოვრობდა 34 წლის სტალინი კურეიკაში, სადაც ის გადაასახლეს 1914 წელს. ამ ამბავს იქაურები მოთმინებით შეხვდნენ, მაგრამ ლიდია დაორსულდა და მისმა ძმებმა ერთი ამბავი ატეხეს. ადგილობრივმა ჟანდარმებმა სისხლის სამართლის საქმე აღძრეს და მხოლოდ მაშინ დაშოშმინდნენ, როცა სტალინმა პირობა დადო, ლიდიას ცოლად მოვიყვან, როცა სრულწლოვანი გახდებაო... სტალინის შვილი ალექსანდრე 1917 წელს დაიბადა, ოღონდ სტალინი მანამდე გაიქცა გადასახლებიდან. ლიდიამ პარიკმახერობა შეისწავლა იგარკაში და ცოლად გაჰყვა ადგილობრივ მეთევზეს იაკობ დავიდოვს, რომელმაც მისი ვაჟი იშვილა. ხრუშჩოვისადმი სსრკ სუკ-ის უფროსის გენერალ სეროვის საიდუმლო მოხსენებაში ნათქვამია, რომ „სტალინი არასოდეს დახმარებია მათ. ალექსანდრე ფოსტალიონი გახდა. 1935 წელს ის**

პერეპრიგინების ქოხი კურეიკაში, სადაც „ტურუხანსკის გადასახლებისას“ (1914-1916 წ.წ.) ცხოვრობდა ი. ბ. სტალინი.

გამოიძახეს კრასნოიარსკში და მოითხოვეს, როგორც კუზაკოვას შვილის შემთხვევაში, ხელი მოეწერა დაპირებისთვის, რომ არასოდეს არაფერს იტყოდა თავის წარმოშობაზე. ალექსანდრე დავიდოვი ომში იბრძოდა, ორჯერ დაიჭრა, მიაღწია მაიორის წოდებას. ომის შემდეგ მუშაობდა სასადილოს გამგედ ნოვოკუზნეცკში. სამი შვილი ჰყავდა — სტალინის შვილიშვილები. ალექსანდრე 1987 წელს გარდაიცვალა“.

ამ წიგნის გამოქვეყნების შემდეგ, იმავე 2007 წელს ჩატარდა ჟურნალ „ოგონიოკის“ გამოძიება და „მოსკოვსკი კომსომოლეცსა“ და „კომსომოლსკაია პრავდაში“ დაიბეჭდა სტატიები, რომლებშიც სტალინის უკანონო შვილის ალექსანდრეს არსებობის ვერსია ეყრდნობოდა ოჯახურ გადმოცემებს, მეზობლების მონაყოლს და ა.შ. ასევე, ლეგენდებსა და ჭორებზე დაფუძნებით გადაიღეს 2008 წელს სატელევიზიო ფილმი „მთავარი გმირი“. ერთადერთი დოკუმენტი, რომელსაც საერთოდ ახსენებდა ესა თუ ის ავტორი, იყო „ივან სეროვის საიდუმლო მოხსენება ნიკიტა ხრუშჩოვისადმი“, 1956 წლის ივნისით დათარიღებული და ამ 25 წლის წინათ განსაიდუმლოებული.

ამ მოხსენებაზე ლაპარაკობს ისტორიკოსი **ბორის ილიზაროვი** ტელეფილმში **„უკანონო შვილები“,** რომელიც 2015 წლის ოქტომბერში გამოვიდა ეკრანზე და ავტორი წიგნისა **„სტალინი. ხელისუფლების პარადოქსები, 1878-1928“,** ამერიკელი ისტორიკოსი, პრინსტონის უნივერსიტეტის პროფესორი **სტივენ კოტკინი.**

„სეროვის მოხსენების“ ნამდვილობა უტყუარია, ოღონდ მასში ბევრი უცნაურობაა. ყველა ამ ფილმისა და სტატიის ლაიტმოტივი ის იყო, რომ სტალინი არასოდეს დაინტერესებულა თავისი ვაჟის ალექსანდრესა და მისი დედის ბედით, რომ ამ ისტორიის არავითარი საარქივო დოკუმენტი არ შემორჩენილა. მართლაც, ამ მოხსენების შინაარსის გარდა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში არასდროს გამოქვეყნებულა რაიმე დოკუმენტი.

ისტორიულ-პუბლიცისტურ ლიტერატურასა და ინტერნეტსტატიებში ფართოდ ტირაჟირებული „სეროვის საიდუმლო მოხსენების“ ფრაგმენტი სტალინის ცხოვრების ამ ერთ ეპიზოდზე, საბოლოო ანგარიშით გამოძიების შემაჯამებელი მასალა კი არ არის, რომელსაც სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმი წარმართავდა ამ საკითხზე, არამედ ერთ-ერთი სიუჟეტი, რომელიც ამტკიცებს უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელობის მიერ უკვე ცნობილ ფაქტებს.

მთლიანად მოვიყვან ამ სიუჟეტს სეროვის წერილიდან ხრუშჩოვისადმი: **„ამას გარდა, მოქალაქე პერილიგინას(?) მონათხრობის მიხედვით დამტკიცდა, რომ კურეიკაში მყოფმა ი.ბ. სტალინმა იგი 14 წლის ასაკში შეაცდინა და მასთან თანაცხოვრება დაიწყო. ი.ბ. სტალინი ჟანდარმმა ლელეგინმა არასრულწლოვანთან თანაცხოვრებისთვის მის პასუხისგებაში მისაცემად გამოიძახა.**

ი.ბ. სტალინმა სიტყვა მისცა ჟანდარმ ლელეგინს, რომ პერელიგინას(?) ცოლად მოიყვანდა, როგორც კი სრულწლოვანი გახდებოდა.

როგორც ა.წ. მაისში პერელიგინამ(?) თქვა, მას დაახლოებით 1913 წელს შეეძინა ბავშვი, რომელიც გარდაიცვალა. 1914 წელს დაიბადა მეორე ბავშვი, რომელსაც სახელად ალექსანდრე დაარქვეს. გადასახლების დასრულებისთანავე სტალინი გაემგზავრა და ქალი იძულებული გახდა გათხოვილიყო ადგილობრივ გლეხზე დავიდოვზე, რომელმაც დაბადებული ბიჭი ალექსანდრე იშვილა. მთელი ცხოვრების მანძილზე სტალინს მისთვის არავითარი დახმარება არ გაუწევია. ამჟამად ალექსანდრე მსახურობს არმიაში, მაიორია“.

მოხსენება 1956 წლის 4 ივნისით არის დათარიღებული, მასში მითითებულია, რომ 1956 წლის მაისში მოქალაქე პერელიგინა(?) დაკითხეს სტალინთან ნაცნობობისა და ბავშვების დაბადების გარემოებათა თაობაზე.

და აქ იწყება ყველაზე საინტერესო. ხრუშჩოვისადმი ივნისის წერილში ბევრი არევ-დარევაა. მაგალითად, **სტალინის საყვარელი კურეიკელი ლიდია პერეპრიგინა, მოიხსენიება პერელიგინად (?), ვაჟის ალექსანდრეს დაბადების თარიღად მითითებულია არა 1917 წელი, არამედ 1914 წელი.** აქვე სეროვი „აწვება“ იმას, რომ „პერელიგინამ“ გაიხსენა სტალინის ურთიერთობის წვრილმანები და ის, რომ **მას 1913 წელს შეეძინა ვაჟი, რომელიც გარდაიცვალა. არადა სტალინი კურეიკაში ჩავიდა არა 1913 წელს, არამედ 1914 წლის მარტში.**

და რა შუაშია აქ ხსენებული დაკითხვა 1956 წლის მაისში? ვის უამბო ლიდია პერეპრიგინამ (მოვიხსენიოთ სწორი ფორმით) სტალინზე? ვისი ჩაწოდებით დაინტერესდა ჟანდარმი ლელეგინი მომავალი ბელადის მორალური სახით? და მართალია თუ არა, რომ ი.ბ. სტალინი არასოდეს დაინტერესებულა თავისი კურეიკელი ახლობლების ბედით. ყველა ამ კითხვაზე ამომწურავ პასუხს მიიღებთ, თუ თვალს გადაავლებთ გამოძიების მასალებს, რომელიც სკკპ ცკ-მა და სსრკ სუს-მა განახორციელეს 1956 წლის გაზაფხულზე.

ამრიგად, დავიწყოთ სულ თავიდან. როგორც ირკვევა, ინფორმაციის ყველაზე მთავარი წყარო აღმოჩნდა სკკპ ცკ-ის მდივანი **ავერკი არისტოვი,** მისი წერილი ხრუშჩოვისადმი. პირველივე აბზაცი ანგრევს მკვლევართა და ჟურნალისტთა ყველა თეზისს იმასთან დაკავშირებით, რომ სტალინი არ ინტერესდებოდა პერეპრიგინას ოჯახით. აი, რა მისწერა ხრუშჩოვს ავერკი არისტოვმა:

„სკკპ კრასნოიარსკის სამხარეო კომიტეტის მდივნად ყოფნისას (1944 წლის ივლისიდან 1950 წლის თებერვლამდე — ა.ა.). მოსკოვში ერთ-ერთი ჩამოსვლისას 1946 წლის ბოლოს, დამირეკა ამხანაგმა პოსკრებიშევმა (სტალინის მდივანი — ა.ა.) და მკითხა, რა ვიცოდი კურეიკის მცხოვრებ ივანოვებზე და პერეპრიგინებზე, სადაც გადასახლებაში იყო ამხ. სტალინი. ვუპასუხე, რომ არაფერი ვიცოდი. ამხ. პოსკრებიშევმა მთხოვა კრასნოიარსკში დაბრუნების შემდეგ ცნობები შემეკრიბა ამ ადამიანებზე, რადგანაც მათით დაინტერესებული იყო ამხ. სტალინი“.

სტალინის დავალების შესასრულებლად არისტოვმა კურეიკასა და დუდინკაში გაგზავნა სკკპ სამხარეო კომიტეტის ინსტრუქტორი პ. სიროტენკო, მაგრამ სიროტენკოს მიერ შეკრებილი ფაქტები ისეთი ხასიათისა იყო, რომ მისი გენერალისიმუსისთვის სრულად მოყოლა არ შეიძლებოდა. აი, რას წერდა ამაზე ცკ-ის მდივანი არისტოვი: **„მივლინებიდან დაბრუნებულმა ამხ. სიროტენკომ მომახსენა, რომ მან იპოვა ივანოვები და პერეპრიგინები და მიამბო რომ, ამხ. სტალინი 14 წლის ლიდია პერეპრიგინასთან ცხოვრობდა და რომ ამ ქალს სტალინისგან ვაჟი ჰყავს. ლიდია პერეპრიგინამ სიროტენკოს თავისი შვილის ალექსანდრეს ფოტოგრაფია გადასცა.**

იმ დროს, ასეთი ცნობების მიღების შემდეგ, რა თქმა უნდა, მე არ შემეძლო, პოსკრებიშევისთვის მეამბა პეტრე ივანოვზე, რომელიც სტალინს იცნობდა და აღშფოთებული იყო იმისი თანაცხოვრებით არასრულწლოვან ქალთან, და იონა პერეპრიგინზე — ლიდიას უფროს ძმაზე, რომელმაც სტალინის თაობაზე იჩივლა ჟანდარმთან. იონა და ლიდია პერეპრიგინები ობლები იყვნენ. ახლა ყველაფერი ეს აღვადგინე და გადავწყვიტე, თქვენთვის მეცნობებინა.

არისტოვის წერილი 1956 წლის 28 მაისით არის დათარიღებული. წერილზე არის სკკპ ცკ-ის საერთო განყოფილების გამგის მოადგილის ვლადიმერ ჩერნუხას (ის ხშირად ასრულებდა ხრუშჩოვის ყველაზე მნიშვნელოვან დავალებებს — ა.ა.) რეზოლუცია: **„დაეგზავნოს ცკ-ის პრეზიდიუმის წევრებს, ცკ-ის პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატებსა და სკკპ ცკ-ის მდივნებს“.**

ალეკო ასლანიშვილი

(დასასრული მომდევნო ნომერში)

◎ ტრიუმფი

ანტონ პლესნოის სამი „ოქრო“!

საქართველოს შტანგისტთა ნაკრებს რომში მიმდინარე 2020 წლის მსოფლიო თასზე ანტონ პლესნოიმ სამი ოქროს მედალი მოუტანა! „ჯვაროსანთა“ უკრაინელმა ძალოსანმა ატაცში 176 კგ, აკვრაში 210 კგ და ორჭიდის ჯამში 386 კგ დააფიქსირა.

შედეგად, პლესნოიმ სამივე დისციპლინაში იპირველა და ოქროს მედლებს დაეუფლა. ეს იტალიის დედაქალაქის ფორუმზე, სადაც პარალელურად ტოკიოს ოლიმპიადის ლიცენზიებიც თამაშდება, საქართველოს ნაკრებისთვის პირველი უმაღლესი სინჯის მედლები იყო.

აქვე გეტყვით, რომ მანამდე გოგა ჩხეიძეს — ორი „ბრინჯაო“, ხოლო შოთა მიშველიძეს სამი „ვერცხლი“ ხვდა.

დღეს ფიცარნაგზე სწორუპოვარი ლაშა ტალახაძე გამოვა.

კობა კობახიძე

◎ ევრო 2022

გერმანიას ვაჯობეთ!

ფუტსალში ევროპის 2022 წლის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში წარმატებული სტარტი აიღო საქართველოს ნაკრებმა. ავთანდილ ასათიანის გუნდი ჯგუფში მომდევნო ეტაპის ორი საგზურისთვის გერმანიასთან, ავსტრიასა და კოსოვოსთან ერთად იბრძვის.

სასტარტო შეხვედრა „ჯვაროსნებმა“ თბილისის ოლიმპიურ სასახლეში მთავარ კონკურენტ გერმანიასთან ჩაატარეს და მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვეს.

თამაში სტუმართათვის ჩინებულად დაიწყო და მეხუთე წუთზე ფიშერმა ანგარიში გახსნა. მდევრის როლში მასპინძლები დიდხანს არ ყოფილან, რადგან 6 წუთში სებისკვერაძემ წონასწორობა აღადგინა. შესვენების შემდეგ ჩვენებურთა უპირატესობა გამოიკვეთა და მეტოქის გატეხვაც მოვახერხეთ. გადამწყვეტი მეორე ტაიმის შუაწელი გამოდგა, როდესაც ქართველებმა ორი ბურთი გაიტანეს. ჯერ თალესმა მიითვალა დიდებული გოლი, ორ წუთში კი ჯვარაშვილმა საბოლოო ანგარიში დააფიქსირა — 3:1.

იმავე დღეს ჩვენს ჯგუფში კოსოვომ ავსტრიის ნაკრები 4:2 დაამარცხა.

გიორგი შოთაძე

◎ კვანძი გაიხსნა

ამიერიდან - სერბეთის სახელით!

სერბეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ზელკო თრაიკოვიჩის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართველმა ფალავანმა ზურაბ დათუნაშვილმა იქაური პასპორტი უკვე მიიღო და ის რომში 10-16 თებერვალს დაგეგმილ ევროპის ჩემპიონატზე იჭიდავებს.

თრაიკოვიჩი ამბობს, რომ სერბეთის ეროვნული ნაკრებისთვის კონტინენტის ჩემპიონატი ტოკიოს ოლიმპიური თამაშების წინ ერთგვარი რეპეტიცია იქნება და იქვე დასძენს, რომ მას ზურაბ დათუნაშვილის იმედიც აქვს, რომლისგანაც ქვეყანა ჯერ ლიცენზიას, შემდეგ კი ოლიმპიურ მედალს ელოდება.

„ჯვაროსანთა“ კაპიტანი ზურაბ დათუნაშვილი, რომელსაც დაპირისპირება ჰქონდა ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძესთან, კარიერას ბალკანეთში გააგრძელებს. ინფორმაცია ამის შესახებ ევროპის ორგზის ჩემპიონმა On.ge-ს დაუდასტურა. როგორც დათუნაშვილი ამბობს, ქვეყნიდან წასვლის მიზეზი პრეზიდენტთან დაპირისპირება გახდა.

შესაბამისი ცნობა ამის შესახებ თავდაპირველად Recorder-მა გაავრცელა. როგორც გამოცემა წერს, სერბეთის ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტ ზელკო თრაიკოვიჩის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ქართველმა მოჭიდავემ სერბული პასპორტი რამდენიმე თვის წინათ მიიღო, ნაკრები კი ოლიმპიური თამაშებისთვის მზადებას შარშანდელი დეკემბრიდან შეუდგა.

2019 წლის 11 იანვარს ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატის ფინალის დროს ინციდენტი მოხდა. *რუსთავი 2-ის* მიერ გავრცელებულ კადრებში ჩანს, რომ მოჭიდავე ზურაბ დათუნაშვილს მუშტი სახეში საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა თამაზ (გეგა) გეგეშიძემ ჩაარტყა. ვიდეომასალის მიხედვით, ფედერაციის პრეზიდენტს ხელში რაღაც ნივთი უჭირავს, რომელსაც სპორტსმენის მიმართულებით იქნევს და შემდეგ მუშტს არტყამს. ამ ფაქტის შემდეგ დათუნაშვილს სახიდან სისხლი მოსდის.

ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტი თამაზ (გეგა) გეგეშიძე სპორტის სასახლეში ზურაბ დათუნაშვილის მიმართ განხორციელებული ძალადობის ბრალდებით 22 იანვარს, საღამოს დააკავეს. გამოძიების ვერსიით, 11 იანვარს დარბაზში მომხდარი დაპირისპირებისას თამაზ გეგეშიძემ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა ზურაბ დათუნაშვილს. მოჭიდავეთა ნაწილი ფედერაციის პრეზიდენტ გეგა გეგეშიძის დაკავებას აპროტესტებდა. ისინი გეგეშიძის გათავისუფლებას ითხოვდნენ და ამბობდნენ, რომ სპორტის სასახლეში მომხდარი დაპირისპირება ინციდენტი იყო, რომელიც ფედერაციაშივე უნდა დასრულებულიყო.

გეგეშიძის აღკვეთის ღონისძიებაზე სასამართლომ შარშან 24 იანვარს იმსჯელა. მან ციხე 5 000 ლარის გადახდის შემდეგ დატოვა, თანაც, ჭიდაობის ფედერაციის პრეზიდენტის პოსტიც შეინარჩუნა.

ამ ინციდენტის შემდეგ დათუნაშვილი ამბობდა, რომ არჩევანის წინაშეა, დაასრულოს კარიერა თუ სხვა ქვეყნის სახელი იასპარეზოს. გარდა ამისა, სპორტსმენი აცხადებდა, რომ ჭიდაობის ფედერაცია კარიერის დასრულებას აიძულებდა, რადგან სხვა ქვეყნის სახელით ჭიდაობის უფლებას არ აძლევდა. მაშინ ფედერაცია ბრალდებებს უარყოფდა, ხოლო გეგეშიძე ამბობდა, რომ დათუნაშვილმა ქვეყნიდან წასვლა დიდი ხნით ადრე გადაწყვიტა...

მანუჩარ გიორგაძე

◎ სეზონის სტარტზე

მახარაძემ გაგვახარა

იტალიის ქალაქ ბერგამოში გაიმართა ყოველწლიური საერთაშორისო ჩემპიონატი კარატეში „შავი ქამრის თასი“ (Black Belt Cuზ 2020), რომელშიც საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის გუნდიც მონაწილეობდა. ამ პრესტიჟულ ტურნირზე, სადაც 20-მდე ქვეყნის 1500-მდე სპორტსმენი ასპარეზობდა, მზეჭაბუკ მახარაძემ 2 მედალი მოიპოვა — „ვერცხლი“ ინდივიდუალურ კატაში უფროსთა შორის და „ბრინჯაო“ინდივიდუალურ კუმიტეში +85 კგ. წონით კატეგორიაში. შეჯიბრის ორგანიზატორი იყო მსოფლიოს ერთიანი კარატეს ფედერაცია (WUKF).

აპენინებზე სხვადასხვა რანგის ღონისძიებებზე მზეჭაბუკ მახარაძე უკვე 10 წელიწადზე მეტია, რაც ღირსუულად გამოდის და მის კოლექციას ყველა სინჯის ჯილდოები ამშვენებს.

მზეჭაბუკ მახარაძე არის მსოფლიოსა და ევროპის მრავალგზის ჩემპიონი, არაერთი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებული სპორტსმენი და წარმატებული ინსტრუქტორი, შავი ქამრის V დანის მფლობელი და საქართველოს შოტოკან კარატე დოს კონფედერაციის უფროსი ინსტრუქტორი.

ბეჟან დოლიძე

◎ ლეგიონერი

10 ქულა 15 წუთში

NBA-ს რეგულარულ სეზონში მორიგი წარმატება მოიპოვა გოგა ბითაძის „ინდიანამ“, რომელმაც საკუთარ მოედაზე „ჩიკაგო ბულზი“ ოვერტაიმში 115:106 დაამარცხა.

აღნიშნულ გამარჯვებაში ღირსეული წვლილი ბითაძემაც შეიტანა, რომელმაც პარკეტზე 15 წუთი გაატარა და ხსენებულ დროში 10 ქულა, 4 მოხსნა და 1 დაფარება მიითვალა. გოგამ 9-დან 5 ორქულიანი ჩააგდო, ერთი სამქულიანი კი ააცილა.

„პეისერზის“ რიგებში საუკეთესო თი ჯეი უორენი გამოდგა, რომელმაც პარტნიორებს 25 ქულით ულიდერა, ხოლო საბონისის აქტივში 15 ქულა და 11 მოხსნა გახლდათ.

„ინდიანა“ აღმოსავლეთ კონფერენციაში 31 მოგებითა და 17 წაგებით მეექვსე ადგილზეა, მომდევნო მატჩს კი 2 თებერვალს ისევ შინ „ნიუ-იორკთან“ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

არდავიწყება

ბორის გადელია

საქართველოს დამსახურებულმა ინჟინერ-მშენებელმა, ჭეშმარიტმა პროფესიონალმა, მრავალი მედლის და ჯილდოს მფლობელმა, მაღალი ზნეობის, ერუდირებულმა პიროვნებამ ბორის იულონის ძე გადელიამ სამშობლოსა და ხალხის „მსახურების“ უბადლო მაგალითი დაგვიტოვა.

ბორის გადელიას 1 თებერვალს 85 წელი შეუსრულდებოდა, იგი 1935 წლის 1 თებერვალს სენაკში დაიბადა.

მამის, ბატონი იულონ გადელიას გეგეჭკორის (მარტვილის) რაიონის დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში მთავარ ბუღალტრად მუშაობის წლებში, ბორისი სწავლობდა დიდიჭყონის არასრულ საშუალო სკოლაში. სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა სოხუმის ინდუსტრიულ ტექნიკუმში, რომელიც 1958 წელს დაამთავრა.

იმავე წელს მუშაობა დაიწყო დიდიჭყონის საბჭოთა მეურნეობაში ტექნიკოსად. 1958 წელსვე ბორის გადელია ჩაირიცხა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სამშენებლო ფაკულტეტზე.

უმაღლესი განათლების მიღების შემდეგ სხვადასხვა წლებში მუშაობდა გეგეჭკორის რაიონის დიდიჭყონის, ვედიდკარის და აბაშის რაიონის საბჭოთა მეურნეობებში ჯერ რიგითი ინჟინრის, შემდეგ მთავარი ინჟინრის თანამდებობებზე.

1969 წელს ბორის გადელია საცხოვრებლად ცხაკაიაში გადავიდა და ცხაკაიას №2 სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს მთავარ ინჟინრად დაინიშნა.

1974 წლიდან გამოცდილი სპეციალისტი ხობის რაიონში შრომით საქმიანობას ჯერ უბნის, შემდეგ სამშენებლო სამმართველოს უფროსად აგრძელებს.

1977 წლიდან ბორის გადელია საცხოვრებლად დედაქალაქში მიდის. მაღალკვალიფიციურმა და გამოცდილმა მშენებელმა მარნეულში საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს №3 სარემონტო სამშენებლო სამმართველოს უფროსის თანამდებობაზე გააგრძელა მოღვაწეობა.

ბატონი ბორისი გამოირჩეოდა მაღალორგანიზებულობით, პრინციპულობით, გულისხმიერებით, კოლეგიალობით. იგი გულმოდგინედ ზრუნავდა ქვეყნის კეთილმოწყობა-გალამაზებისთვის, ჩვენი მიწა-წყლის ხარისხიანი ნაგებობებით დამშვენებისთვის.

შემდეგ წლებში ბორის გადელია გადაიყვანეს „საქსოფლქიმიის“ სარემონტო-სამშენებლო სამმართველოს უფროსად, სადაც მუხლჩაუხრელად იღვწოდა მრავალი წლის განმავლობაში.

მისი შრომითი ბიოგრაფია აღსავსე იყო ძიებებით, მიგნებებით, სიახლეებით, ჯეროვანი წარმატებებით.

მინიჭებული ჰქონდა საქართველოს დამსახურებული ინჟინერ-მშენებლის წოდება, ფლობდა მრავალ ჯილდოსა და მადლობას, როგორც საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე იმ რაიონების ხელმძღვანელობისგან, სადაც კეთილსინდისიერად მუშაობდა.

ბორის გადელია მრავალშვილიან ოჯახში აღიზარდა. როგორც ყველაზე უფროსმა შვილმა, იზრუნა უმცროსი და-ძმის უმაღლეს განათლებასა და საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრებაზე, დღეს იულონ გადელიას სახელოვანი შთამომავლები ჩვენი ქვეყნის მნიშვნელოვან უბნებზე სახელოვნად მოღვაწეობენ და კეთილსინდისიერად აგრძელებენ საგვარეულო ტრადიციებს.

ბორის გადელია პირადული ინტერესებით არასოდეს არ იფარგლებოდა, მთელი შესაძლებლობით ცდილობდა, სარგებელი მოეტანა ქვეყნისთვის. იყო უღალატო მეგობარი, ქველმოქმედი, ადამიანთა ჭირისა და ლხინის გულთან მიმტანი.

ქართული ტრადიციული ოჯახის თავკაცმა მეუღლესთან დინარა კორშიასთან ერთად აღზარდა სამი შვილი, ჰყავს სამი შვილიშვილი.

ბორის გადელია 2011 წლის 4 იანვარს 76 წლის ასაკში გარდაიცვალა.

ჯერაც ბევრი სასიკეთო საქმის გაკეთება შეეძლო ქვეყნისთვის ამ ღირსეულ მოქალაქეს და გამოცდილ სპეციალისტს, უკეთილშობილეს პიროვნებას და სამშობლოს პატრიოტს.

ბორის გადელიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება მეგობრების, ოჯახის, ახლობლების, იმ ადამიანთა მეხსიერებაში, რომლებთანაც მეგობრული და სამსახურებრივი ურთიერთობა ჰქონდა ამ ღვაწლმოსილ კაცს.

ნათელი დაადგეს მის დაუვიწყარ სახელს!

მეგობრები:

ბაკურ გულუა, გურამ გუნავა, ვახტანგ ყოლბაია, საველი მარსაგიშვილი, რომან კვაჭაძე, ვიტალი ხაზარაძე, პეტრე ბერაია, ბესო კილასონია, ჯამგულ წულაია, ვახტანგ კიკნაძე, ოთარ ვასაძე, თემურ კალანდაძე, გია ციხისთავი, ტარიელ დგებუაძე, ავთო გესელია, გურამ ვახტანგიშვილი, დავით გვარამია, ტიტიკო კაკულია, ალან თოდუა, ავთანდილ ტაგანაშვილი.

რეზო ამაშუკელი და გულიკო ბეროძე ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა სიკეთისა და ზნეობის მაგალითი, უკეთილშობილესი

სოსო ნიჟარაძე

და უსამძიმრებენ ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ვინ არის ძმები ფეიქრიშვილების მკვლელობის შესაძლო დამკვეთი

ძმები გიორგი და დავით ფეიქრიშვილების მკვლელობის დამკვეთი, სავარაუდოდ, უკრაინაში მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტი ვატო ყიფიანია, ხოლო შეკვეთილი მკვლელობის მთავარი მოტივი 2016 წელს ვაკეში მომხდარ მკვლელობას უკავშირდება. საუბარია ბადუკა ნადიბაძეზე, რომელმაც საკუთარ მანქანაში სოსო ჯოხაძე ჩაცხრილა. სწორედ სოსო ჯოხაძის საახლობლო წრიდან არის ვატო ყიფიანი.

რაც შეეხება ბადუკა ნადიბაძეს, მისი უახლოესი გარემოცვიდან არიან ტყუპები გიორგი და დავით ფეიქრიშვილები. როგორც „ქრონიკას“ კონფიდენციალურმა წყარომ განუცხადა, სწორედ ამ მკვლელობის შემდეგ დაიგეგმა შურისძიება ძმები ფეიქრიშვილების ლიკვიდაციით. თუმცა ამ ინფორმაციას ჯერჯერობით არცერთი მხარე არ ადასტურებს.



ვატო ყიფიანის უფლებადამცველი, რომელსაც „ქრონიკა“ დაუკავშირდა, არ ამბობს რომელ ქვეყანაში იმყოფება ის. მან სასჯელაღსრულების დაწესებულება 2008 წელს დატოვა და მას შემდეგ ის საქართველოში არ იმყოფება.

„ქრონიკის“ ინფორმაციით, ვატო ყიფიანის როგორც მკვლელობის დამკვეთს ასახელებს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გამოძიების ფარგლებში გამოკითხული ერთ-ერთი პირი. ფეიქრიშვილების ადვოკატი ამბობს, რომ ძმების აფეთქება სხვადასხვა ადგილას იგეგმებოდა და ერთ-ერთი ლოკაცია იყო ის ადგილი, სადაც ერთ-ერთი ძმა ოჯახთან ერთად უნდა ყოფილიყო.

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის კონტრტერორისტულმა ცენტრმა და უკრაინის უსაფრთხოების სამსახურმა თბილისში დაგეგმილი აფეთქებით ორი პირის შეკვეთილი მკვლელობა აღკვეთეს. სუს-მა ჯამში შვიდი ადამიანი დააკავა, მათ შორის ოთხი დააკავეს ბათუმში, მათგან რამდენიმე განმნაღმველია და არ არის გამორიცხული, რომ რომელიმე მათგანი ძალოვანი უწყების ყოფილი თანამშრომელი იყოს.

აჭარის საზოგადოებრივი მაუწყებლის ინფორმაციით, სუს-ის სამსახურის მიერ ბათუმში დაკავებული 4 ბრალდებული ასლან აბაშიძის დაცვის ყოფილი წევრია. მათ შორის ერთ-ერთი კი, აბაშიძის ოჯახის დაცვის ყოფილი უფროსი ზედმეტსახელად — ჩაკი.

თბილისში დაკავებულია ორი პირი, ერთიც — ხარკოვში, უკრაინის მოქალაქე

ბ. მ.

შსს-მ არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ბრალდებით სამი პირი დააკავა

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ტრეფიკინგისა და უკანონო მიგრაციის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, ჩატარებული ოპერატიული და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, თბილისში, არასრულწლოვნის ტრეფიკინგის ბრალდებით, 1996 წელს დაბადებული მ.ფ., 1973 წელს დაბადებული მ.გ. და 1970 წელს დაბადებული ვ.კ. დააკავეს.

ჩადენილი დანაშაული 8-დან 12 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულები 2004 წელს დაბადებულ არასრულწლოვანს, ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით, სისტემატურად უწევდნენ ექსპლუატაციას და ე.წ. კლიენტებისთვის სექსუალურ მომსახურებას აიძულებდნენ.

სამივე ბრალდებული — დაზარალებული არასრულწლოვნის და ე.წ. „სუტინიორი“ და ტრეფიკინგში ჩართული ტაქსის მძღოლი პოლიციამ მოსამართლის განჩინების საფუძველზე დააკავა.

არასრულწლოვნის მიმართ უკანონო გარიგებით ჩადენილ ტრეფიკინგის ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე პრიმა-2 მუხლის პირველი ნაწილით მიმდინარეობს.

თურქული თვითმფრინავი უხანიდან საქართველოს შვიდ მოქალაქესაც წამოიყვანს

თურქეთის თვითმფრინავი ჩინეთის ქალაქ უხანიდან თურქეთის — 34, საქართველოს — შვიდ, ასევე აზერბაიჯანის — შვიდ და ალბანეთის ერთ მოქალაქეს თურქეთში ჩაიყვანს, — ამის შესახებ თურქული მედია წერს.

თურქული გამოცემა „ჰურიეთის“ ინფორმაციით, მგზავრებს სპეციალურ ტანსაცმელს დაურიგებენ და ისინი თურქეთის ტერიტორიაზე 14 დღის განმავლობაში კარანტინში იქნებიან.

◎ სიკვდილით ვაჭრობა...

გიორგი კალანდია:
ბარემ, პირდაპირ მორგს შეგვაერთეთ, ჟურნალისტებო!

„მე ვემიჯნები სიკვდილის ჟურნალისტიკას და ყველა იმ გამოცემასთან ვაუქმებ ხელმოწერას, ვინც ასეთ რამეებს კადრულობს. ყველას ამავეს მოგიწოდებთ, თუ გინდათ, ოდესმე საზოგადოებად ვიქცეთ“, — ამის შესახებ ხელოვნების სასახლის დირექტორი გიორგი კალანდია სოციალურ ქსელში განცხადებას ავრცელებს.

„მოკლედ, ქართული მედია აშკარა კრიზისშია. დღე არ გავა, არ დადონ ინფორმაცია ადამიანის გარდაცვალების შესახებ! არა აქვს მნიშვნელობა, ეს ადამიანი ცნობილია, საზოგადო მოღვაწეა, ან რამე განსაკუთრებული მოხდა მის თავს და ამიტომ გარდაიცვალა! არა, აქ მთავარია, რომ გარდაიცვალა! რატომ გვზაფრავთ, ხალხო, რა უბედურებაა ეს!? არავინ იბადება ამ ქვეყანაში, ყველა კვდება ნუთუ?! მაშინ რატომ არ დებთ იმას, ვინ და როდის დაიბადა?! შეიძლება, ყველგან და ყოველთვის სიკვდილს აჩვენებდეთ, დიახ, ადამიანები მსოფლიოში ყოველ წუთს კვდებიან, დიახ, ყოველ წუთს, საქართველოში ალბათ ცოტა უფრო მეტი დროის მონაკვეთში, მაგრამ სიკვდილი არსებობს და არ არის ამის ყოველ წუთს შეხსენება საჭირო ამ ისედაც დანევროზებული, დაფსიქოზებული საზოგადოებისთვის.

ერთი თვეა, უცხოეთში ვარ და საშინელებების გარდა არაფერს ვკითხულობ ჩემი ქვეყნის გარშემო! გავიხედავ გვერდით, ჩემი უცხოელი მეგობრების გვერდებზე ხან კოსმოსში ახალ მიღწევებზე, ხან მარსზე, დნმ-ზე, ახალი მანქანის მოდელებზე, მოდის მიღწევებზეა ლაპარაკი ჩვენთან კიდევ ლამის ყველა ავტოავარია, ყველა უბედურება, ბუნებრივი თუ შემთხვევით მომხდარი სიკვდილი გააშუქონ! პანაშვიდი, გასვენება, შემოსვენება, კუბო, მგლოვიარე სახეები, მოთქმა — ამ კადრების ჩვენება, სააშკარაოზე გამოტანა უკვე ტრენდად იქცა. არადა, გლოვა, მწუხარება, ჩემი აზრით, ძალიან პრივატული ამბავია. არა მგონია, მას ასე სააშკარაოზე გამოტანა უხდებოდეს! ზოგჯერ მგონია, მალე ჟურნალისტები პირდაპირ მორგს შეუერთებენ ამ ქვეყანას და საზოგადოებას! ეს იმიტომ ხდება, რომ ამისთანა ინფორმაციებზე მოთხოვნა არსებობს საზოგადოებაში, ჩვენი ხალხიც ამას მისჩიჩინებია, სულ ამას კითხულობს, ამ ჩემთვის უხერხული პოსტის დაწერა მორიგმა „ნიუსმა“ გადამაწყვეტინა, როცა წავიკითხე, რომ „კიდევ ორი ქართველი ემიგრანტი გარდაცვლილა“, მეგონა, რაღაც მიზანმიმართული მკვლელობა მოხდა, გავხსენი და გავიგე, რომ ორივე ცხონებული ავადმყოფობით გარდაცვლილა.

ამას უკვე სიკვდილით ვაჭრობა ჰქვია და ეს ქართული ჟურნალისტიკის ფსკერია! გასაგებად ვამბობ: არ არის საუბარი ახლობლის და მეგობრის გარდაცვალებაზე (ყველას ღმერთმა გვაშოროს), ლაპარაკია სიკვდილის ჟურნალისტიკაზე, მე პირადად ყველა იმ გამოცემასთან ვაუქმებ ხელმოწერას, ვინც ასეთ რამეებს კადრულობს, ყველას იმავეს მოგიწოდებთ!“

მოიპარეს სალვადორ დალის ნამუშევრები

ბოროტმოქმედებმა სტოკჰოლმში Couleur-ის გალერეაში ესპანელი მხატვრის სალვადორ დალის გამოფენიდან მისი 10-დან 12-მდე ქანდაკება და გრავიურა მოიპარეს.

მძარცველები შენობაში 30 იანვრის ღამეს შეიპარნენ. დაცვამ ამის შესახებ დაახლოებით დილის 4 საათზე შეიტყვეს. პოლიცია 2 ადამიანს ეძებს, რომლებიც გალერეიდან გასვლის შემდეგ იქაურობა ავტომობილით დატოვეს. ეჭვმიტანილები ჯერ-ჯერობით არ დაუკავებიათ.

მოპარული ნამუშევრების საერთო ღირებულება 280-380 000 ევროს შეადგენს.

ანა კურნიკოვა და ენრიკე იგლესიასი მესამე შვილს ელოდებიან

ჩოგბურთელი ანა კურნიკოვა მომღერალ ენრიკე იგლესიასისგან მესამე შვილს ელოდება.

ბავშვი შესაძლოა, ნებისმიერ დღეს გაჩნდეს, წყვილი ორსულობის საიდუმლოდ შენახვას ახერხებდა, თუმცა პაპარაცებმა 38 წლის კურნიკოვას ფოტოები გადაუღეს.

კურნიკოვა და იგლესიასი უკვე 18 წელია, ერთად არიან. წყვილს ტყუპი გოგო და ბიჭი ჰყავთ, რომლებიც 2017 წელს დაიბადნენ.

მზის ზედაპირის ყველაზე ზუსტი ფოტოები

აშშ-ის ნაციონალური სამეცნიერო ფონდის ტელესკომპმა ისტორიაში პირველად მზის ზედაპირის ყველაზე დეტალური ფოტოები გადაიღო.

ფოტოებზე პირველად გამოჩნდა 30 კილომეტრამდე ზომის ობიექტები. მზის ნაციონალური ლაბორატორიის მიერ გამოქვეყნებულ ფილმში ნაჩვენებია ნივთიერებათა მოძრაობა მზის კონვექციურ უჯრედებში.



ტელესკოპი ჰავაიზე მდებარეობს. მისი დახმარებით სპეციალისტები მზის ზედაპირისა და მისი ატმოსფერული მაგნიტური ველების რუკას შექმნიან.

DKIST-ის სარკის დიამეტრი 4 მეტრია და ის 2020 წლისთვის ყველაზე დიდი მზის ტელესკოპია. მის შესაქმნელად ათობით სამეცნიერო ინსტიტუტი მუშაობდა.

მსოფლიოში უხუცესი ქალი გარდაიცვალა

ტაჯიკეთში მსოფლიოში უხუცესი ქალი ფატიმა მირზოკულოვა 127 წლისა გარდაიცვალა. იგი 1893 წლის 13 მარტს ტაჯიკეთში დაიბადა.

ქალს 8 შვილი და 200-ზე მეტი შვილობილი ჰყავდა. ქალი ქვეყნის ჩრდილოეთით მდებარე ქალაქ დახანში დაკრძალეს.

აქამდე ოფიციალურად მსოფლიოს უხუცეს ადამიანად იაპონიაში, ქალაქ ფუკუოკაში მცხოვრები 117 წლის კანე ტანკა ითვლება, რომელიც 1903 წელს დაიბადა.

თავის დროზე ხანდაზმულობის რეკორდი ფრანგ ჟანა კალმანს ეკუთვნოდა, რომელიც 1997 წელს 122 წლისა და 164 დღის გარდაიცვალა.

მოგმართავთ გაზეთის მზრუნველთა საბჭოს სახელით

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 101 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

გვჯერა, რედაქციის მიმართვას გამოეხმაურებიან ჩვენი ბიზნესმენ-ქველმოქმედნიც და გარკვეულ ფინანსურ დახმარებას გაუწევენ გაზეთს.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009.

(შპს „ახალი საუკუნე“ — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი).

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA

ა. ჩიქობავას (ყოფილი საბჭოს) ქუჩა №42/5
ტელ: 296-72-86

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 53-76-16; 599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, რასაც აქ წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.8999; ევრო - 3.1905;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.7731;
100 რუბლი - 4.6321; თურქული ლირა - 0.4874;
აზერბაიჯანული მანათი - 1.7078;
1000 სომხური დრამი - 6.0604.

ამინდი 31 იანვრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	-2,	დღე	+12
მთიანი რაიონები -	ღამე	-4,	დღე	+7
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+2,	დღე	+10
მთიანი რაიონები -	ღამე	0,	დღე	+5
თბილისი:	ღამე	+3,	დღე	+13

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 296-72-86,
599-79-76-79, 568-82-09-84
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge